

დანართი №1

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო  
(მხარჯავი დაწესებულების დასახელება, პროგრამული კოდი)

1. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა  
განათლება, მეცნიერება და პროფესიული მომზადება

1.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>1</sup> [სახელოვნებო განათლების სისტემის ხელშეწყობა 33 03](#)

განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სახელოვნებო -საგანმანათლებლო დაწესებულებები

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
33 03	პროგრამა	19 181.0	17 370.5	17 336.9	99.8	11 071.5

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

**ხელი შეეწყო:** თბილისის ავ.ქუთათელაძის სახ. სამხატვრო აკადემიის 9 სტუდენტს სწავლის საფასურით პროფესიულ პროგრამებზე; სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 7 სტუდენტს სამაგისტრო პროგრამების სწავლის საფასურით; გრანტის სახით დაფინანსდა წარჩინებული ქართველი 7 სტუდენტის სწავლა უცხოეთის წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო სასწავლებლებში. პროექტს „კამერტონი - საქართველო“, განხორციელდა გერმანიაში 5 განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით გამორჩეული ახალგაზრდების მონაწილეობით; საორკესტრო საკრავებზე ახალგაზრდა შემსრულებელთა მეორე ეროვნულ კონკურსში 9-დან 18 წლამდე ასაკის 100 შემსრულებლის მონაწილეობას, ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებლის 30 მოსწავლის საიუბილეო კონცერტში მონაწილეობას. „ნიჭიერთა ათწლედის“ მოსწავლის მონაწილეობას ქ. ვილნიუსის დვორიონასის სახელობის ახალგაზრდა პიანისტთა მე-11 საერთაშორისო კონკურსში მონაწილეობას, ამავე სასწავლებლის მოსწავლის ქ. სოფიის მე-12 საერთაშორისო კონკურსში „ახალგაზრდა ვირტუოზები“ მონაწილეობას, ასევე სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში, მასტერკლასებში თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის 10 სტუდენტის მონაწილეობას. სულ ხელი შეეწყო სსიპ უმაღლესი და სკოლისგარეშე სახელოვნებო

<sup>1</sup>ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

საგანმანათლებლო სასწავლებლების 183 სტუდენტისა და მოსწავლის მონაწილეობას საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში და მასტერკლასებში, კონცერტებში მათი პროფესიული ზრდა-დაოსტატების მიზნით.

## **დაგეგმილი საბოლოო შედეგები<sup>2</sup>**

მოწესრიგებული სახელოვნებო საგანმანათლებლო სისტემა და მისი სრული თავსებადობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი კადრებით უზრუნველყოფილი ქვეყნის სახელოვნებო ორგანიზაციები, საქართველოს „სახელოვნებო სკოლის“ ცნობადობის ამაღლება საერთაშორისო მასშტაბით, ახალგაზრდებში სახელოვნებო განათლებისადმი ინტერესის მზარდი ხასიათის ტენდენციად ჩამოყალიბება.

## **მიღწეული საბოლოო შედეგები<sup>3</sup>**

სტუდენტების და მოსწავლეების განათლებას, სწავლას, მიღწეული შედეგების წარმოჩენას ხელი შეეწყო სხვადასხვა ტიპისა და მიმართულებების კონცერტების, სადამოების, მასტერკლასებისა და ვორკშოპების, სპექტაკლების, გამოფენების, კონფერენციების გამართვით, საერთაშორისო პროექტებში ჩართულობით, საგანგებოდ მათთვის გამართული საჯარო ლექციებით, სტუდენტებისა და მოსწავლეების მონაწილეობით ეროვნულ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში და სხვადასხვა ტიპის საჯარო ღონისძიებებში. ხელი შეეწყო 23 სტუდენტის სწავლას, მათ შორის პროფესიული განათლების და სამაგისტრო პროგრამებზე, ასევე უცხოეთის წამყვან სახელოვნებო სასწავლებლებში, 183 სტუდენტისა და მოსწავლის პროფესიულ ზრდა-დაოსტატებას საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, მასტერკლასებში, კონცერტებში მათი მონაწილეობის მხარდაჭერით.

## **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>4</sup>**

### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების აქტივობების მისაღწევი რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 600-მდე გაიზრდება;

### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სახელოვნებო დაწესებულებების აქტივობების მისაღწევი რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 1 200-მდე გაიზრდება;

### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 100-მდე გაიზრდება;

### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა დაახლოებით 150-მდე გაიზრდება;

<sup>2</sup>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

<sup>3</sup>ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

<sup>4</sup>დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

**მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>5</sup>**

სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებებში განხორციელებული აქტივობების რაოდენობა - 908

საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებში, მასტერკლასებში, საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობა - 183.

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე<sup>6</sup>

განსხვავება განაპირობა საგანმანათლებლო-შემეცნებით ღონისძიებებში მონაწილეთა რაოდენობის ზრდამ.

**2. სახელმწიფო ბიუჯეტის პრიორიტეტი, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პროგრამა**

**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი**

**2.1 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი -საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა 3301განმახორციელებელი**

✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

*ათასი ლარი*

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3301	პროგრამა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სფეროში პოლიტიკის შემუშავება და პროგრამების მართვა	5 856.0	5 538.6	5 376.6	97.1	0

საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

სრულყოფილი ადმინისტრირებისა და მართვის უზრუნველყოფა. კულტურის, კულტურული მემკვიდრეობისა და ხელოვნების სფეროებში ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, დაგეგმვა და მისი განხორციელების კოორდინაცია; ქვეყანაში კულტურის პოლიტიკის ადაპტაცია და ჰარმონიზაცია ანალოგიურ საერთაშორისო პრაქტიკასთან.

**2.2 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი** ხელოვნების დარგების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ 33 02განმახორციელებელი

<sup>5</sup>ივსება საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული შედეგის შეფასების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი; <sup>6</sup>ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს ანსამბლები
- ✓ საქართველო თეატრები

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიურის კასომესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთანმიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
3302	პროგრამა ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ	55 342.0	81 346.5	<u>89 998.9</u>	<u>110.6</u>	<u>36 486.5</u>

**საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა**

**მონაწილეობა მიიღო:** თანამედროვე ქართველმა ავტორებმა გერმანიაში, ქ. ლაიპციგში საერთაშორისო ფესტივალზე -"ლაიპციგის საერთაშორისო წიგნის ბაზრობა"; ესტონეთში, ქ. ტალინში საავტორო თოჯინების საერთაშორისო ფესტივალში „NUKUKUNST“ ქართველმა ხელოვანმა; გალერეამ „Container“ Vienna Photo Book Festival-ზე, ქართველმა ფოტოგრაფმა გერმანიაში, ქ. ბერლინში „სახვითი ხელოვნების და დოკუმენტური ფოტოგრაფიის მე-4 ბიენალე“-ში, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა გერმანიაში, ქ. ბერლინში მსოფლიო არქიტექტურის ფესტივალში, ქართველმა ხელოვანმა ესპანეთში, ქ. ბარსელონაში კერამიკის საერთაშორისო აკადემიის 47-ე გენერალურ ასამბლეაში, ჯგუფმა Georgian Six ავსტრიაში, ქ. გრაცში „International A Cappelle Festival Graz“-სა და რუმინეთში, ქ. ბუქარესტში „10th Bucharest International Jazz Festival“; ქართველმა მუსიკოსმა ვოკალისტთა ავსტრიაში, ქ. გრაცში საერთაშორისო კონკურსში „Accademia Belcanto“, ანსამბლმა „ჩვენებურები“ ესტონეთში, ქ. ტალინში საერთაშორისო ფესტივალში „International Folklore Festival Baltica“, ქართველმა მუსიკოსმა უკრაინაში, ქ. კიევში კლასიკური მუსიკის კონცერტში, ანსამბლმა „ძირიანი“ ლიტვის საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალზე, ერისიონის სტუდიასთან არსებულმა ბავშვთა ანსამბლმა „მანგი“ აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში საერთაშორისო ქორეოგრაფიულ ფესტივალში, წეროვნის ლტოლვილ ბავშვთა ანსამბლმა „ქორული“ ბულგარეთში საერთაშორისო ფოლკლორის ფესტივალში („ნესემბრის თანავარსკვლავედი“), ანსამბლმა „გვირილა“ ესპანეთში საერთაშორისო ფესტივალში „ლორეტ დე მარი 2016“, თავისუფალმა თეატრმა უკრაინაში, ქ. ლვოვში საერთაშორისო ფესტივალში „Золотої Лев 2016“, ქართველმა მეცნიერმა 23-ე ბიზანტიური საერთაშორისო კვლევების კონგრესი: „ბიზანტია - ცვლილებათა სამყარო“, "გურამ ყურაშვილის სახელობის აფხაზეთის სახელმწიფო საგუნდო კაპელამ" ბრიუსელის საკათედრო ტაძარში დაგეგმილ კონცერტში, ფოლკლორულმა ანსამბლმა "საგალობელი" საერთაშორისო ფესტივალ-შეჯიბრში "Grand Fiesta".

სამინისტროს დელეგაციამ ქ. ბრიუსელში, ევროკავშირისა და "ადმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და შემოქმედებითი პროგრამის" მმართველი კომიტეტისა და ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ მმართველი კომისიის სხდომებში; სამინისტროს წარმომადგენელმა საქართველო-ჩეხეთის ერთობლივი ეკონომიკური კომიტეტის მეორე სხდომაზე (ხელი მოეწერა სხდომის ოქმს) და ბრიუსელში, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის მე-4 ქვეკომიტეტის სხდომაზე; ქართულმა დელეგაციამ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის მეთაურობით ესტონეთის რესპუბლიკაში (ესტონეთის რესპუბლიკაში ვიზიტის მნიშვნელოვან კომპონენტს კრეატიული ინკუბატორების, სტარტაპებისა და ჰაბების დაარსების/ფუნქციონირების დეტალურად გაცნობა წარმოადგენდა); სამინისტროს დელეგაციამ: ქ. ბაქოში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრაში; თურქეთის რესპუბლიკაში ოფიციალურ ვიზიტში რომლის ფარგლებში მოხდა ძირითად აქტუალურ საკითხებზე შეთანხმება (მიღწეული შეთანხმებების რეალიზაციის მიზნით, განისაზღვრა საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფი მინისტრის მოადგილეების დონეზე. შეთანხმდნენ იუნესკოში მხარეთა მხარდაჭერის თაობაზე);

სამინისტროს წარმომადგენელმა თბილისში საქართველო-ყირგიზეთის სავაჭრო-ეკონომიკური თანამშრომლობის მთავრობათაშორისი კომისიის I სხდომაზე ( ხელი მოეწერა სხდომის ოქმს);

ქ. ბერლინში, ბერლინალეს ფარგლებში „შემოქმედებითი ევროპის“ სამუშაო შეხვედრებში საქართველოში შემოქმედებითი ევროპის კულტურის ოფისის ხელმძღვანელმა;

სამინისტროს დელეგაციამ ქართულ-გერმანული შერეული კომისიის სხდომაზე (განხილულ იქნა საქართველოსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის კულტურისა და განათლების სფეროში ურთიერთობების სხვადასხვა ასპექტები, ხელი მოეწერა სხდომის ოქმს);

მინისტრმა და მინისტრის მოადგილემ აზერბაიჯანში, ქ. ბაქოში, გაეროს ცივილიზაციათა ალიანსის მეშვიდე გლობალურ ფორუმის მუშაობაში (ვიზიტის ფარგლებში შედგა შეხვედრა აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის მინისტრთან, საუბარი შეეხო კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავების ასპექტებს);

ქართულმა დელეგაციამ ქ. ვენაში, „საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცელარიას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმის“ (ვიზიტისას განხილულ იქნა ისეთი საკითხები, როგორებიცაა: მუზეუმების მართვა, კულტურული მემკვიდრეობის რეაბილიტაცია, ძეგლთა დაცვა, იუნესკოს კონვენციების შესრულება, კრეატიული ინდუსტრიების მართვა, „მეცენატობის შესახებ“ კანონის შემუშავება, ევროკავშირის პროგრამის „კრეატიული ევროპა“ განხორცილება)ფარგლებში;

„შემოქმედებითი ევროპის“ კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა საერთაშორისო კონფერენციაში - „ქალი და ხელოვნება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (კონფერენციის ფარგლებში გავრცელდა საინფორმაციო მასალა „შემოქმედებითი ევროპის“ შესახებ);

პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ ფარგლებში, პირველი წარმატება მოიპოვა საქართველოს შვიდმა ორგანიზაციამ:

1. European Theatre Lab: Drama goes digital - პარტნიორი - კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრი (ლიდერი ქვეყანა საფრანგეთი);
2. CineDoc-თბილისის საერთაშორისო დოკუმენტური კინოს ფესტივალი 2016 – Nosfera Foundation NNLE;
3. “European Film Clubs school licensing” - პარტნიორი - სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი (ლიდერი ქვეყანა - დიდი ბრიტანეთი);
4. “The Short Lessons in Cinema” - პარტნიორი - ჯადოსნური ლამპარი (ლიდერი ქვეყანა საფრანგეთი);
5. School of Film Agents - დემოკრატიული ცვლილებების ინსტიტუტი
6. Mosaïque de la littérature Européenne - გამომცემლობა აგორა;
7. 7.First time in Georgia: 10 EU Literature Prize winners - ელფის გამომცემლობა.

მედიის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებულ შეხვედრაზე ევროინტეგრაციის საკითხთა კომუნიკაციისა და ინფორმაციის შესახებ საქართველოს მთავრობის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შეფასებასთან დაკავშირებით, მონაწილეობა მიიღო სამინისტროს თანამშრომელმა; ქ. ბრიუსელში, „ადმოსავლეთ პარტნიორობის“ მრავალმხრივი თანამშრომლობის IV პლატფორმის - „ხალხთა შორის კონტაქტები“ („Contacts Between People“) მე-15 შეხვედრაში სამინისტროს წარმომადგენელმა (შეხვედრაზე წარდგენილ იქნა პრეზენტაცია საქართველოს სამომავლო გეგმებთან დაკავშირებით, მათ შორის ფორუმის - „შემოქმედებითი საქართველო“ საქართველოში გამართვის თაობაზე);

მინისტრის მოადგილემ ქ. ოქსფორდში, სადაც საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და ოქსფორდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით ოქსფორდის უნივერსიტეტის ბიზანტიკის ცენტრში გაიმართა საერთაშორისო კონფერენცია, თურქეთის ტერიტორიაზე არსებული ქართული მემკვიდრეობის შესახებ. აღნიშნული ინიციატივა მნიშვნელოვანია ქართული კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციისა და საერთაშორისო სამეცნიერო დონეზე ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურის შესახებ

ცნობადობის ამაღლებისთვის. ვიზიტის ფარგლებში, ასევე გაიმართა სხვადასხვა სამუშაო შეხვედრა ქ. ლონდონში კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწე პარტნიორებთან;

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტის (პროგრამის ადმინისტრირების სამსახურის (PAO)) ორგანიზებით სამუშაო შეხვედრაში შესაბამისი სამინისტროების წარმომადგენლებმა, რომლებიც უშუალოდ მუშაობენ საქართველო-ევროკავშირის შორის თანამშრომლობის საკითხებზე (სამუშაო შეხვედრის მიზანია ევროკავშირის დახმარების მიმღები უწყებებისათვის ინფორმაციის მიწოდება ევროკავშირის დახმარების პროგრამების/ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობაზე, მათ კრიტერიუმებზე და პრიორიტეტებზე, რათა უკეთ მოხდეს მათი საჭიროებების გამოვლენა ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში);

**განხორციელდა:** ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის ბავშთა და მოზარდთა თბილისის III საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი, თბილისის კამერული მუსიკის XI საერთაშორისო ფესტივალი, თბილისის ჯაზ ფესტივალი, თბილისის ჩასაბერ საკრავთა ფესტივალი, თბილისის 2016. თანამედროვე მუსიკის საღამოები, თბილისის საგუნდო მუსიკის VI საერთაშორისო ფესტივალი, თენგიზ ამირეჯიბის სახელობის მეოთხე საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი, I საერთაშორისო საგუნდო ფესტივალი გორში, „აკადემია ბელკანტოს საზაფხულო ფესტივალი“, საქართველო-ირლანდიის დიპლომატიური ურთიერთობების იუბილის აღსანიშნავად ირლანდიელი მომღერლის ჯეკ ლუკმანის და ბენდის კონცერტი, ესტონეთის კაცთა ნაციონალური გუნდის კონცერტი სსიპ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, ანსამბლის „ქართული ხმები“ კონცერტები სტრასბურგში, ლიტვასა და ირლანდიაში, საქართველოში აკრედიტებული რეზიდენტი და არარეზიდენტი ელჩებისა და მათი მეუღლეების სამეგრელოში ვიზიტის ფარგლებში მუსიკალური ღონისძიებები, აფრიკელი მომღერლის NNEKA კონცერტი თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში, ფოლად ბულბულ ოდლის მუსიკაზე შექმნილი თანამედროვე ბალეტი „ხამსე“, ანსამბლის „ბასიანი“ საკონცერტო ტურნეები აშშ-ში და საქართველოს რეგიონებში, ღვინის ტურიზმის პირველი გლობალური კონფერენციის თანმხლები კულტურული ღონისძიებები, ფესტივალი „ერთიანი კავკასია“, დოკუმენტური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი "CineDoc", მე-11 საერთაშორისო კინოფესტივალი „წმინდა ანდრეას ჯვარი“, თბილისის მე-17 საერთაშორისო კინოფესტივალი, საბავშვო ფილმების ფესტივალი "ოქროს პეპელა", პროექტი „უკრაინული კინოს დღეები“; სათავგადასავლო ჟანრის სრულმეტრაჟიანი ფილმის „რობინზონი და ცხრა პარასკევა“ ქ. ბაქოში პრემიერა, ფრანგი გადამღები ჯგუფის ვიზიტი საქართველოს შესახებ 52 წუთიანი ეტო აკადემიური თეატრის სპექტაკლის „ანა კარენინა“ გასტროლი; თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალი, ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „დიოსკურია“ კონცერტი ესპანეთში, ქ. მადრიდში, ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალი, ფოტოკვირეული "ქოლგა თბილისი ფოტო", თბილისის საერთაშორისო ფოტო ფესტივალი, წიგნის 2 ფესტივალი (თბილისის მე-18 წ/გ და ქართული წიგნის ფესტივალი); ფესტივალი „თბილისის წიგნის დღეები“, საერთაშორისო ლიტერატურული ფესტივალი, საერთაშორისო ფესტივალი „საჩუქარი, 4 საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი: ჯ. კახიძის სახ. მუსიკალური ფესტივალი, კანის ფესტივალის ფარგლებში ქეშირბეითის პროგრამის პრეზენტაცია, ფესტივალი „ახალი სივრცე კულტურული დიალოგისთვის; თბილისის სცენოგრაფიის ბიენალე, თბილისში თოჯინების საერთაშორისო ფესტივალი, ტრადიციული რეწვის და დიზაინის თბილისის I საერთაშორისო სამიტი, ქართველი და შვედი არტისტების მონაწილეობით პერფორმანსი „რა უნდა ქალს“ (What Women Want), თბილისის მერსედეს ბენცის მოდის კვირეული შემოდგომა/ზამთარი 2016, თბილისის მოდის კვირეული/Tbilisi Fashion Week 2016 წლის I ეტაპი გაზაფხული, გამოფენა „60 Years of Made in Italy - History of the Italian Style“, წყალტუბოს ხელოვნების ფესტივალი, ესტონეთში, ქ. ტარტუში ხელოვნების მუზეუმში პროექტი „Aesthetics of repair in contemporary Georgia“, რომელიც მოიცავს თანამედროვე ხელოვანთა გამოფენასა და პერფორმანსს; „სახელოვნებო დიპლომატია - ქართული გალერეა ხელოვნების საერთაშორისო სივრცეში (არტ დუბაი 2016)“, პროექტი „საქართველოს თანამედროვე მხატვართა გამოფენა თურქეთში „არტ ანკარა“; ბესო უზნაძის ნამუშევრების გამოფენა საერთაშორისო ხელოვნების ბაზრობაზე START 2016 ლონდონში Saatchi Gallery-ში, ფინელი დიზაინერების რუდი მერცისა და პიტერ შმიდის ვორკშოპის გამოფენა და პუბლიკაცია, მალტაში, ქ. სლიმაში პროექტი „ევროპელი ვირტუოზები“, უკრაინაში, ქ. ოდესაში გამოფენა „ქართული სოფელი ოდესა ბათუმის ფოტოდღეების ფარგლებში“, თბილისის ტრიენალეს პრეზენტაცია საერთაშორისო ბიენალეების ასოციაციის მესამე ასამბლეაზე, თანამედროვე ქართველი მხატვრების წარდგინება Sothby-ის სააუქციონო სახლში გამართულ აუქციონზე, საფრანგეთში, ქ. პარიზში გიორგი ალექსი-მესხიშვილის ნამუშევრის წარდგენა, 2016 წლის 8 ივლისს საქართველოში, ქ. ბათუმში ჩინეთის კულტურის დღის აღსანიშნავად ჩინელ აკრობატთა დასის „Tianjin Beauty Arts Troupe“ წარმოდგენა, პროექტები: „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“, რომლის ფარგლებში შეიქმნა სივრცე და გაიმართა გამოფენები, "დაიცავი მემკვიდრეობა", „შავფაროსნები სლოვენიაში“, „გარიყულას სკოლა“, „ნატურალური ავეჯი“, „შავი და თეთრი“, „ალტერნატიული კედლები“, „EAVE

PRODUCERS WORKSHOP WITH PROJECT”, „იმპერიის საპასუხო დარტყმა“, „იმპულსი რიგას“, „ცოცხალი წიგნები ემიგრანტებისათვის“, „ქართული ღვინო და მრავალხმიანობა ესპანეთში, მრავალტომეულის „ქრისტიანობის ისტორია პირველ ათასწლეულში“ მოსამზადებელი სამუშაოები ვატიკანსა და ინგლისში.

კავკასიის თანამედროვე მუსიკის დაჯილდოება „ფენიქსი“; გულიკო ჭანტურიას შემოქმედებითი სადამო; საქართველოს ეროვნული ინტერნეტ-ჩემპიონატი „ეტალონი“; საერთაშორისო ფესტივალი „აღდგომიდან ამდღემამდე“; კავკაზ-ჯაზ ფესტივალი; ხალიჩების საერთაშორისო ფესტივალი ახალციხეში; საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა რეგიონალური კონკურსი; თანამედროვე ცეკვის სამხრეთ-კავკასიური ფესტივალი; პროექტი „ინოვაციური პოპკულტურის დაჯილდოების ცერემონიალი ელექტრონავტი 2015“; პროექტი „ხატე საქართველოსთვის“; ლეო ანთაძის საიუბილეო ტურნე; პროექტი „ახალგაზრდა მუსიკოსთა მომზადება კამერული და სიმფონიური ორკესტრებისათვის“; კომედიის ფესტივალი; პროექტი „ხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ქარავანსარაი ქუთაისი 2016 წ.“; ფოთის რეგიონალური თეატრების საერთაშორისო ფესტივალი, ფესტივალი „დამის სერენადები“; ბათუმის მუსიკალური ფესტივალი; რკინის თეატრის სპექტაკლი „ჩიტები“; პროექტი „შავი ზღვის ჯაზ ფესტივალი“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი“; ფესტივალი „არტ-გენი“; ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ნიქოზი“; საავტორი კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალი BIAFF; „სუხიშვილების“ კონცერტი ბათუმში; ვახტანგ კიკაბიძის საიუბილეო კონცერტი ბათუმში; ნანი ბრეგვაძის საიუბილეო სადამო ბათუმში; პროექტი „შემოქმედებითი ქალაქი“; საქართველოს მხატვართა კავშირის პროექტი „მხატვრის თვალთ დასახული საქართველო“; კინო და ტელევიზორების საერთაშორისო ფესტივალი „ოქროს თვალი“; დევილთა კომპაქტურ დასახლებებში სახელოვნებო სკოლების ფუნქციონირების ხელშეწყობა; ძმები ზდანევიჩების სახელობის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალის „Fest I Nova“ ხელშეწყობა; პროექტი „ოტია იოსელიანის საკვირაო სკოლა“; „ტრადიციული მუსიკის შემოქმედებით-საგანმანათლებლო ტურები საქართველოს რეგიონებში; პროექტი „ცოცხალი წიგნები“; ანსამბლ „ბასიანის“ საკონცერტო ტურნე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

სამინისტროს მიერ კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის პრეზენტაცია საქართველოს პარლამენტის კულტურის, განათლებისა და სპორტის კომიტეტში განხილვისთვის;

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამის ხელმძღვანელის ტიმ ვილამსმა და ექსპერტ რაგნარ სილის მიერ კონსულტაციების გაწევა სამინისტროს თანამშრომლებთან კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის დოკუმენტის სრულყოფასთან დაკავშირებით;

კულტურის სტრატეგია 2025 რედაქტირებული ვერსიის საზოგადოებისთვის გაცნობის მიზნით საჯარო კონსულტაციების გამართვა საქართველოს რეგიონებში (სულ 11 შეხვედრა); მისი გასაჯაროება ელექტრონული რესურსების საშუალებით;

ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის ექსპერტის რაგნარ სილის მიერ საჯარო კონსულტაციების სერია კულტურის სფეროს სხვადასხვა მიზნობრივ და გავლენის ჯგუფებთან (13 შეხვედრა); კულტურის პოლიტიკის დოკუმენტის საბოლოო რედაქციის შემუშავება და დამტკიცება საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წლის 1 ივლისს;

კულტურის სტრატეგიის საბოლოო ვერსიის თარგმნა ინგლისურ და აფხაზურ ენებზე;

კულტურის სტრატეგიის განხორციელების მიზნით, შიდაუწყებრივი და უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმების ფორმის შემუშავება, და მისი ინსტრუქციითურთ, შესავსებად გაგზავნა კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებთან და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფთან. უწყებათაშორისი კომისიის 4 შეხვედრა კულტურის სტრატეგიის განხორციელების 2017-2018 წლების უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით და მისი მთავრობის მიერ დასამტკიცებლად მომზადება;

„საზოგადოების კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფის გზამკვლევის“ შემუშავება არასამთავრობო ორგანიზაციისთან „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ თანამშრომლობით;

„შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევის“ შემუშავება ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სამინისტროს გაწევრიანება საერთაშორისო ორგანიზაციებში:

- ENCATC (ევროპის კავშირი კულტურული მენეჯმენტი და კულტურის პოლიტიკა)

- Enlarged Partial Agreement on Cultural Routes of the Council of Europe (EPA) - ევროპის საბჭოს კულტურული მარშრუტების გაფართოებული წილობრივი შეთანხმება;
- International Federation of Arts Councils and Culture Agencies - IFACCA (ხელოვნების საბჭოებისა და კულტურის სააგენტოების საერთაშორისო ფედერაციაში)
- EUROPA NOSTRA –(ევროპის კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ორგანიზაციას);

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილესა და ამერიკის შეერთებული შტატების სამთავრობო ორგანიზაციის „მშვიდობის კორპუსის“ დირექტორის საქართველოში სტივენ მიდ სმიტის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი (ხელი მოაწერეს), რომლის თანახმადაც, მშვიდობის კორპუსის მოკლევადიანი მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ამერიკელი მოხალისე დასაქმდა რომელმაც, სამინისტროსთან თანამშრომლობით განახორციელა სამუშაო გეგმით გათვალისწინებული შემდეგი ღონისძიებები: (მოხალისე სამინისტროს თანამშრომლებისთვის ატარებს ინგლისური ენის გაკვეთილებს (დამწყები და საშუალო დონის ჯგუფები);

ევროკავშირთან ინტეგრაციის, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ფონდებთან ურთიერთობის სამმართველოს თანამშრომელთან ერთად მოხალისე აქტიურად იყო ჩართული ევროპის საბჭოს კულტურული გზების პროგრამის და კულტურული გზების შესახებ ევროპის საბჭოს გაფართოებულ წილობრივ შეთანხმებაში საქართველოს გაწვევრიანების შესაძლებლობის შესახებ ინფორმაციის მოძიების პროცესში და მოხალისემ სარა მაქალამ სამინისტროს თანამშრომლებისთვის გამართა პრეზენტაცია მის მიერ ქ. მისისიპში, აშშ, სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების სააგენტოში მუშაობის პერიოდში კულტურის განვითარების სფეროში განხორციელებული რამდენიმე პროექტის შესახებ);

ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის მმართველ სააგენტოში 2015 წლის საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის საქმიანობის შესახებ ანგარიშის გაგზავნა;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში პროგრამა „შემოქმედებითი ევროპის“ ფარგლებში გამოცხადებული ლიტერატურული თარგმანების კონკურსის პრეზენტაცია, „ლტოლვილთა ინტეგრაციის“ კონკურსის პრეზენტაცია და ღია საინფორმაციო შეხვედრა დაინტერესებული პირებისთვის;

შეთანხმების გაფორმება თანამშრომლობის შესახებ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და სსიპ „საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნულ ცენტრს“ შორის ევროკავშირის პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) ფარგლებში;

სარეკლამო მასალა „შემოქმედებითი ევროპის“ პოპულარიზაციის მიზნით (ბლოკნოტი, ბროშურა, ბუკლეტი, ფლაიერი) ბეჭდვა;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში შეხვედრა მინისტრსა და ისრაელის პარლამენტის წევრებს შორის, სადაც მხარეებმა განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის გეგმები;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით საქართველოში დაიწყო ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის „კულტურა და კრეატიულობა“ ფარგლებში იუნესკოს „Culture for Development Indicators“ (CDIS) კვლევაზე მუშაობა, რომლის მიზანს წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური და მდგრადი განვითარების საქმეში კულტურის როლის წარმოჩენა. ამ კუთხით, CDIS-ის მეთოდოლოგია იკვლევს ქვეყნის პოლიტიკის ისეთ საკვანძო განზომილებებს, როგორებიცაა: ეკონომიკა, განათლება, მმართველობა, სოციალური მონაწილეობა, გენდერული თანასწორობა, კომუნიკაცია, მემკვიდრეობა და სხვა (აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, სამინისტროს ძალისხმევით გაიმართა აღნიშნული პროგრამის პრეზენტაცია და სამუშაო შეხვედრა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ შესაბამისი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენლები. შეხვედრაზე განხილული იყო პროექტის მიზნები, ამოცანები, ვადები და მოხდა ამ პროცესში დაინტერესებული პირების როლის განსაზღვრა. აღნიშნული შეხვედრის შედეგად სამუშაო ჯგუფისთვის განისაზღვრა მოწვეული უწყებებიდან შესაბამისი საკონტაქტო პირები, რომელთაც დაეგზავნათ სფეროს შესაბამისი კითხვარები იუნესკოს „ინდიკატორები კულტურის განვითარებისთვის (CDIS)“ კვლევისთვის საჭირო მონაცემების მოსაგროვებლად. უწყებებიდან მოწოდებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ნიდერლანდების სამეფოს კულტურის საერთაშორისო ფონდის „კავკასია“ (SCF) წარმომადგენლობამ მოამზადა ანგარიშის პირველადი ვერსია);

შეხვედრა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრსა და საქართველოში სლოვაკეთის რესპუბლიკის საქმეთა დროებითი რწმუნებულს შორის (შეხვედრაზე განიხილეს ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაღრმავების შესაძლებლობა და სამომავლო გეგმები);

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ეგიდითა და ლიტვის საელჩოსთან თანამშრომლობით, ლიტვის დელეგაციის წევრების მიერ სამინისტროში ლექცია-სემინარები (სემინარზე განიხილეს: კულტურის პოლიტიკის სტრატეგიის შემუშავება და განხორციელება ლიტვაში; ლიტვის სამუზეუმო პოლიტიკა, კულტურული მემკვიდრეობის დიგიტალიზაცია; ლიტვის პოლიტიკა; კულტურა და ხელოვნების სისტემის მხარდაჭერა ლიტვაში. შემოქმედებითი ევროპის ლიტვის ოფისის ხელმძღვანელმა ეგლე დელტუვაიტემ პრეზენტაცია გამართა კულტურის ქვეპროგრამის პირობების, პრიორიტეტების და ფინანსური მექანიზმების შესახებ) გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში საინფორმაციო შეხვედრა პროგრამის "შემოქმედებითი ევროპა" (შეხვედრა გამართეს ლიტვის „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა ეგლე დელტუვაიტმა და საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა, დამსწრეთა რაოდენობა - 24 ადამიანი) შესახებ;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დაინტერესებულ პირებთან სამუშაო შეხვედრა (ლიტვის „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა ეგლე დელტუვაიტმა და საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა (დამსწრეთა რაოდენობა - 23 ადამიანი);

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრისა და უნგრეთის ელჩის საქართველოში შეხვედრა (მხარეებმა კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი სამომავლო პროექტების შესახებ ისაუბრეს);

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, მინისტრის მოადგილეს და საქართველოში უკრაინის ელჩის შეხვედრა (მხარეებმა ისაუბრეს კულტურის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისა და ერთობლივი პროექტების შესახებ);

აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის „კულტურა და კრეატიულობა“ ორგანიზებით საკონსულტაციო შეხვედრები „შემოქმედებითი ევროპის“ შესახებ 8 ორგანიზაციასთან (შეხვედრები გამართეს ესტონეთის „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა, აზერბაიჯანის კრეატიული ინიციატივების ცენტრის დირექტორმა და საქართველოში „შემოქმედებითი ევროპის“ დესკის კულტურის ქვეპროგრამის ხელმძღვანელმა);

საქართველოში ევროკომისიის განათლების და კულტურის დირექტორატის და განათლების, აუდიოვიზუალური და კულტურის აღმასრულებელი სააგენტოს წარმომადგენლების სამუშაო ვიზიტი (ვიზიტის ფარგლებში მოხდა საქართველოში პროგრამის „შემოქმედებითი ევროპა“ დესკის საქმიანობის ადგილზე გაცნობა. გაიმართა შეხვედრები სამინისტროს ხელმძღვანელებასთან და საქართველოს კულტურის სექტორთან).

ა(ა)იპ „ქრიეთივ ჯორჯიას“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, თბილისის საკრებულოს, თბილისის მერიის, ევროკავშირის აღმოსავლეთ ევროპის კულტურისა და კრეატიულობის პროგრამისა და "შემოქმედებითი ევროპის" საქართველოს ოფისის ორგანიზებით, თბილისში კონფერენცია სახელწოდებით "თბილისის გარდაქმნა შემოქმედებით ცენტრად" (კონფერენციის მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორ უნდა მოხდეს კულტურული და შემოქმედებითი ეკოსისტემის დიზაინ-დაგეგმარება ქალაქის განვითარებისთვის, საჭირო პირობების შექმნა შემოქმედებითი მეწარმეებისთვის და რა ცვლილებების განხორციელებაა საჭირო იმისთვის, რომ თბილისი რეგიონის შემოქმედებით ცენტრად გადაიქცეს. მოხსენებები ეხებოდა ასევე ხელოვნებისა და კულტურის როლს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებაში);

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ევროკავშირის ეგიდით, თბილისში გაიმართა ფართომასშტაბიანი ფორუმი "კულტურა და შემოქმედებითობა ინოვაციისა და განვითარებისათვის". (ფორუმის მიზანი იყო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიების შესახებ, ამასთან, ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტების, პოლიტიკის განმსაზღვრელი პირების, შემოქმედებითი სექტორისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლების ერთმანეთთან დაკავშირება. ფორუმის ფარგლებში გამართული სხვადასხვა სესიის განმავლობაში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების წარმომადგენლებმა

ერთმანეთს გაუზიარეს სექტორის განვითარების ძირითადი ტენდენციები და წარმატებული გამოცდილება. გაიმართა პრეზენტაციები, სემინარები და დისკუსიები ისეთ თემებზე, როგორებიცაა განათლების და ახალი ტექნოლოგიების როლი შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებაში, ადგილობრივი და რეგიონული პოლიტიკის განვითარების ინიციატივები, „საქართველოში შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების გზამკვლევი“ და ა.შ).

**ხელი შეეწყო:** 4 ლიტერატურულ კონკურსს (გ. ჩოხელის, ვ. კოტეტიშვილის სახელობის, „წერო“ და კონკურსი - ლიტერატურული პრემია); საქართველოს ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების მე-2 ეროვნულ კონკურსს, ახალგაზრდა პიანისტთა მე-7 ს/კ მომზადებას, პიანისტთა მე-6 საერთაშორისო კონკურსის მომზადებას, და პროექტს „ჭაბუა ამირეჯიბი - 95“. წიგნის ხელოვნების ცენტრის საქმიანობას, სადადგმო ხარჯით 26 სახელმწიფო თეატრს 38 ახალი დადგმის განსახორციელებლად, ბაროკოს მუსიკის, საახალწლო შეხვედრების და თელავის; ანსამბლის „სულიკო“ გასტროლს პარიზში, ტრადიციული მრავალხმიანობის საერთაშორისო სიმპოზიუმს, სსიპ მუსიკალური ორგანიზაციების (ჯ. კახიძის ცენტრი, ანსამბლი „რუსთავი“, საბალეტო დასი, სუხიშვილები, კამერული ორკესტრი) გასტროლებს უცხოეთში, ი. გოგოლაურის ხსოვნის სადამოს, თ. გვერდწითელის საქველმოქმედო კონცერტს, პროექტებს „კინო სკოლაში“, რომლის ფარგლებშიც 167 სკოლაში გაიმართა კინოჩვენებები, საბავშვო ს/კ „ჯიფონი - საქართველო“, ელდარ შენგელაიას ფილმის „სავარძელი“ გადაღებას, კულტურული მრავალფეროვნების დღისადმი მიძღვნილ სადამოს, პროექტს „აზერბაიჯანული ხელით ნაქსოვი ხალიჩების წარმოების ტრადიციის შენარჩუნება“, „მრავალფეროვანი საქართველო“ (ნინოწმინდა, ბოლნისი, მარნეული, ახალქალაქი) პანკისის ხეობისთვის გამართულ 11 ღონისძიებას, საქართველოს უსინათლოთა კავშირის კულტური ცენტრის საქმიანობას, საქართველოს ყრუთა კავშირის საქმიანობას, ასევე პროექტებს „სუვენირები საქართველოდან“, „ჯაზის საერთაშორისო დღე“, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტის შენობის რეაბილიტაციას და სასწავლო თეატრის ტექნიკურ აღჭურვას, კრიტიკოს ჯანსუღ დვინჯილიას საიუბილეო სადამოს, პროექტს „ერთჯერადი ვაუჩერი ბიბლიოთეკებს“, რომლის ფარგლებშიც 66 მთავარი ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი შეივსო ახალი გამოცემებით; აუტიზმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტს; 5 საიუბილეო ღონისძიებას (ჯ. და გ. ბაღაშვილების, რ. ბეიბუთოვის, მ. ტარივერდიევის, ვ. აზარაშვილის, თ. ჭოხონელიძის), კონცერტს „საჩუქარი ქართველ მსმენელს“ „სიმებიანი კვარტეტის“ საიუბილეო სადამო ღიზა ბათიაშვილისა და ფრანსუა ლელუს მონაწილეობით, ქეთი მელუასა და გორის ქალთა გუნდის კონცერტს, ფესტივალს „ახალი სივრცე კულტურული დიალოგისთვის“, ანსამბლების „რუსთავი“, „ერისიონი“ და „სუხიშვილები“ საგასტროლო ტურნეს რეგიონებში, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის კონცერტებს დასავლეთ საქართველოში, მოეწყო 7 გამოფენა („აბრეშუმის შარფები“, მანანა მენაბდის ფოტოგამოფენა, ნუგზარ მეძმარიაშვილის რეტროსპექტიული გამოფენა, ლადო გუდიაშვილის საიუბილეო, ლ. ზამბახიძის და სხვა).

**სსიპ** - ქ. ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის ტექნიკური მდგომარეობის დასადგენად ჩასატარებელ ვიზუალურ საინჟინრო ექსპერტიზის ხარჯების დაფარვას; სსიპ - ილია ჭავჭავაძის საგურამოს სახელმწიფო მუზეუმის ეზოს ბილიკების, წყაროს კეთილმოწყობის და ლითონის ღობის სამღებრო სამუშაოებსათვის საჭირო ხარჯების დაფინანსებას; სსიპ - ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაცურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრის საკომუნიკაციო ქსელის, ადმინისტრაციული და შემოქმედებითი ფართების სარემონტო სამუშაოების ჩატარებას; სსიპ - გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების, ისტორიისა და ძეგლთა დაცვის ეროვნული კვლევითი ცენტრის შენობის გათბობა-ვენტილაციის სისტემის სადემონტაჟო და სამონტაჟო სამუშაოებს; სსიპ - საქართველოს ხალხური და გამოყენებითი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის საპროექტო სამუშაოების დაფინანსებას; სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის ლიფტისა და პანდუსის მოწყობას, ასევე სველი წერტილების დაპროექტირებას; სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სცენის პლანშეტის კაპიტალურ რემონტს; სსიპ - თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის გაზის გამანაწილებელ ქსელზე მიერთებასა და გათბობის სისტემის დამონტაჟებას; სსიპ - ჰეიდარ ალიევის სახელობის თბილისის აზერბაიჯანული პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის ელექტროგაყვანილობის, ელექტროგამათბობლების და განათების წერტილების მოწყობას; სსიპ - სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება - ვეგენი მიქელაძის სახელობის ქ. თბილისის ცენტრალური სამუსიკო სასწავლებლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოებს; სსიპ - მესხეთის (ახალციხის) პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობის სცენის იატაკისა და გარე საკანალიზაციო ქსელის შეკეთებას; სსიპ - ვახტანგ ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის შენობა-ნაგებობის ელ.ენერგიით უსაფრთხო მომარაგებისათვის ხარჯების დაფარვას; სსიპ- დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარებას; სსიპ ქ. თბილისის გიორგი მიქელაძის

სახ. თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრი დარბაზის ტექნოლოგიური ნაწილის პროექტირებას; სსიპ – თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის აღმოსავლური დარბაზის და შენობის ინტერიერის რესტავრაციას; სსიპ – მწერალთა სახლის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნა და გაძლიერდა 3 ერთეულზე: სსიპ – თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში შიძინეს და შეკეთდა შენობის განათების აპარატურა. სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმში მოეწყო საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზის ექსპოზიცია. სსიპ - ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში განხორციელდა სცენის დანადგარების შეძენა-მონტაჟი-შეკეთება.

**გამოცა:** ლიტერატურული ჟურნალების „დილა“, „არილი“, „საუნჯე“ 12-12 ნომერი; ჟურნალის „თეატრი და ცხოვრება“ 6 ნომერი, ჟურნალის „მუსიკა“ 4 ნომერი, წიგნი-ალბომი (თამარ ციციშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, უცნობი სერგო ქობულაძე, რუსუდან ფეტვიაშვილი, ზურაბ სამხარაძე, ჟანი მეძმარიაშვილი, ნატალია ფალავანდიშვილი, ანდრო კანდელაკი, რუსუდან გაჩეჩილაძე, სერგო ფარაჯანოვი, ელენე ახვლედიანი, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე, ქეთი ქავთარაძე, ჯოვანი სკუდიერი) კატალოგი „დიზაინთბილისი“, წიგნი „განათება და ფერი არქიტექტურულ დიზაინში“) და საერთაშორისო ფორუმს „არტისტერიუმი - 2016“. ასევე ოსი მწერლის გიორგი ბესთაუთის პოეტური კრებული, ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“-ს კლავირი.

**მომზადდა გამოსაცემად:** წიგნი „ოთარ მეღვინეთუხუცესი“, ალბომები „ქართული ქსოვილი“, გოგი შხვაცაბაია, „შოთა ყავლაშვილი“.

#### **მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები შემდეგ დოკუმენტებზე:**

მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასა და იორდანისის ჰაშიმიტური სამეფოს მთავრობას შორის 2016-2021 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ;

საქართველოს მთავრობასა და პერუს რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;

საქართველოს მთავრობასა და პერუს რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურული, პალეონტოლოგიური, არქეოლოგიური, მხატვრული და ისტორიული ფასეულობების მოპარვის, გამარცხის, უკანონო ექსპორტის ან გადაადგილებისგან დაცვის, შენარჩუნების, კომპენსაციისა და რესტიტუციის შესახებ შეთანხმება;

საქართველოს მთავრობასა და პარაგვაის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტროს შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება;

საქართველოს მთავრობასა და ინდოეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი;

სურინამის რესპუბლიკასა და საქართველოს მთავრობას შორის თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო შეთანხმება;

საქართველოს მთავრობასა და პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის განათლების, კულტურის, მეცნიერების, სპორტისა და ახალგაზრდობის სფეროებში 2015-2018 წლებში თანამშრომლობის პროგრამა;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის კულტურის სფეროში 2016-2018 წლებში თანამშრომლობის პროგრამა;

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და იტალიის რესპუბლიკის მემკვიდრეობის, კულტურისა და ტურიზმის სამინისტროს შორის 2016-2019 წლებისთვის კულტურის სფეროში თანამშრომლობის შესახებ ოქმი;

„საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის პროგრამა 2016-2020 წლებისათვის“ (მიმდინარეობს პროგრამის ტექსტზე მუშაობა. პროექტი გადაგზავნილია თურქულ მხარესთან);

„ისრაელის სახელმწიფოს მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის ფილმების თანაწარმოების შეთანხმება (დასრულდა შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები და დოკუმენტი გადაეგზავნა ისრაელის მხარეს).

მიმდინარეობს შიდასახელმწიფოებრივი პროცედურები საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ ინიცირებულ "საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს 2017-2020 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ " პროგრამის პროექტზე.

“საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ესტონეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2013-2016 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამის” განახლება.

“საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ჩეხეთის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2013-2016 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამა.

“საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ლიტვის რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს შორის 2013-2016 წლებისთვის კულტურული თანამშრომლობის შესახებ პროგრამის” განახლებაზე.

## დაგეგმილი საბოლოო შედეგები<sup>9</sup>

1. საქართველოს, როგორც უნიკალური და უძველესი კულტურით, ასევე თანამედროვე კულტურით ღირსეული ადგილის დაკავება მსოფლიო კულტურის სივრცეში;
2. განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;
3. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ჯგუფებში ქვეყნისადმი პოზიტიური განწყობის ამაღლება;
4. საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელებული ახალი დადგმებით, გასტროლებით, კონცერტებით, კონკურსებით, ფესტივალებით, გამოფენებით, კინოფილმების ჩვენებით, ახალი წიგნებით, ეროვნულ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით, კულტურულ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ინტეგრირებით საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობის ამაღლება, გემოვნების დახვეწა და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; კულტურის სფეროს მდგრადობის მიღწევა;
5. შეიქმნება ქვეყნის კულტურის პოლიტიკის განმსაზღვრელი დოკუმენტი და განისაზღვრება საქართველოში კულტურის სფეროს გრძელვადიანი ხედვა;
6. განვითარებული და გაღრმავებული კულტურული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან;
7. საქართველოს შესაძლებლობა გაუჩნდება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის კულტურის სფეროს პროგრამებში;
8. რეგიონებში განხორციელებული ღონისძიებების დონის ამაღლება;
9. რეგიონებში კულტურული ცხოვრების განვითარება, ადგილობრივი ინსტიტუციების, ორგანიზაციებისა და კოლექტივების პოპულარიზაცია და მათი ჩართვა ქვეყნის ერთიან კულტურულ სივრცეში;
10. ცენტრალურ უწყებასა და რეგიონების კულტურის სამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურება, მუშაობის კოორდინაცია;

<sup>9</sup>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

11. რეგიონებში არსებული ინსტიტუციების, ორგანიზაციების, კოლექტივებისა და გაერთიანებების მდგრადობა და ცნობადობა; რეგიონებში თანამედროვე მიმართულებების ინტეგრაცია და განვითარება, რეგიონების საერთაშორისო ასპარეზზე წარმოჩენა;
12. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება; მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფა და გაძლიერება.

## მიღწეული საბოლოო შედეგები<sup>10</sup>

2016 წელს ქართული კულტურა ღირსეულად წარსდგა მსოფლიო კულტურის სირვეცეში, კერძოდ 2016 წელს ფარგლებში საზღვარგარეთ განხორციელდა 50-მდე პროექტი, რომლის შესაბამისად 400-მდე ქართველ ხელოვანს მიეცა საშუალება წარმდგარიყო სხვადასხვა ქვეყანის სხვადასხვა სფეროს საერთაშორისო ღონისძიებებში და შესაბამისად წარედგინა ქართული კულტურა;

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე 30-მდე ქვეყანასთან განვითარდა და გაღრმავდა კულტურული ურთიერთობა;

საქართველოში განხორციელდა 40-მდე ღონისძიება, რომელმაც ხელი შეუწყო საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებას და უზრუნველყო ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ხელმისაწვდომობა;

საქართველოს დედაქალაქსა და რეგიონებში განხორციელდა ახალი დადგმები, გასტროლები და კონცერტები საქართველოსა და უცხოეთში, გაიმართა დრამატურგიული, ლიტერატურული და მუსიკალური კონკურსები, საერთაშორისო წიგნის, ლიტერატურული, მუსიკალური, კინო და თეატრალური ფესტივალები, მოეწყო გამოფენები საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში, გაიმართა კინოჩვენებები, ხელი შეეწყო ახალ გამოცემებს (თანამედროვე მხატვრული ლიტერატურა, მუსიკალური, თეატრალური, კინო და სახვითი ხელოვნების ლიტერატურა), საქართველოს ცენტრსა და რეგიონებში ეთნიკურ უმცირესობათა კულტურის წარმოჩინებით (სადამოები, კონცერტები, გამოფენები, გამოცემები), კულტურულ ცხოვრებაში შშმ პირთა ინტეგრირებით (გამოფენა, კონცერტი, ადაპტირებული ფილმები, ადაპტირებული გამოცემები) გარკვეულწილად ამაღლდა საქართველოს მოქალაქეების ინფორმირებულობა, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებისადმი მათი ხელმისაწვდომობა. პროექტის „თანამედროვე ხელოვნების გალერეა“ ფარგლებში შეიქმნა საგამოფენო სივრცე განსაზღვრული კონცეფციით, მიმართულებითა და პროგრამით, რაც უზრუნველყოფს სფეროს მდგრადობას და სფეროში მოღვაწე ხელოვანებსა და ორგანიზაციებს უქმნის სამუშაო პლატფორმას;

2016 წლის 1 ივლისს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (№303) დამტკიცდა საქართველოს კულტურის განვითარების გრძელვადიანი დოკუმენტი „კულტურის სტრატეგია 2025“. მიმდინარეობს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპებ-თან და უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში. სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში შეიქმნება ორი სამოქმედო გეგმა - უწყებათაშორისი სამოქმედო გეგმა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდაუწყებრივი სამოქმედო გეგმა; უწყებათაშორის სამოქმედო გეგმას საქართველოს მთავრობა, ხოლო კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შიდაუწყებრივ სამოქმედო გეგმას კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი დაამტკიცებს;

მიმდინარეობს თანამშრომლობა მსოფლიოს 30 ქვეყანასთან;

2016 წელს, საქართველოს კულტურისა და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებისთვის პროგრამაში „შემოქმედებითი ევროპა“ (Creative Europe) მონაწილეობის მიღების ხელშეწყობისა და პროგრამის შესახებ ცნობადობის ამაღლების შედეგად, როგორც კულტურის, ასევე მედიის ქვეპროგრამის ფარგლებში, დაფინანსდება მოიპოვა შვიდმა ქართულმა ორგანიზაციამ;

რეგიონებში განხორციელდა 40-მდე პროექტი. პროექტების ფარგლებში განხორციელდა 100-ზე მეტი აქტივობა;

რეგიონებში, ადგილობრივ ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებში განვითარებული კულტურული ცხოვრება და ამაღლებული დონე;

გაიზარდა რეგიონებში, როგორც საერთაშორისო ფესტივალების, ასევე ახალი ინიციატივების ხელშეწყობა, რამაც ხელი შეუწყო რეგიონებში კულტურული ცხოვრების გააქტიურებასა და საზოგადოების ჩართულობას ღონისძიებებში;

გააქტიურდა ცენტრალურ უწყებასა და რეგიონების კულტურის სამსახურებს შორის თანამშრომლობა/კოორდინაცია;

<sup>10</sup>ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა; გაძლიერებული და უზრუნველყოფილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

## **დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>11</sup>**

### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

**დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი წლის ბოლომდე 165-მდე გაიზრდება;  
მიზნობრივი მაჩვენებელი**

დაგეგმილი საერთაშორისო ღონისძიებების რიცხვი 230-მდე გაიზრდება (ქართული კულტურის პოპულარიზაცია და ქვეყნისადმი ინტერესის გაღვივება; საერთაშორისო სახელოვნებო პლატფორმის ხელშეწყობა; ღონისძიებების მასშტაბურობასა და მომგებიანობაზე);

### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით წლის ბოლომდე 1 800 000-მდე გაიზრდება;

**მიზნობრივი მაჩვენებელი**

დაგეგმილ ღონისძიებებზე დამსწრეთა მაჩვენებელი დაახლოებით 2 200 000-მდე გაიზრდება;

### **3. საბაზისო მაჩვენებელი**

საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 30-მდე გაიზრდება;

**მიზნობრივი მაჩვენებელი**

საზღვარგარეთ ჩატარებული საქართველოს კულტურის პრეზენტაციის დღეების რაოდენობა დაახლოებით 100-მდე გაიზრდება;

### **4. საბაზისო მაჩვენებელი**

საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 2 300-მდე გაიზრდება;

**მიზნობრივი მაჩვენებელი**

საქართველოსა და საზღვარგარეთ ორგანიზებული მუსიკალური ფესტივალების, სპექტაკლების და გამოფენების რაოდენობა დაახლოებით 3 400-მდე გაიზრდება.

### **5. საბაზისო მაჩვენებელი**

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნება და გაძლიერდება 3 ერთეულზე;

**მიზნობრივი მაჩვენებელი**

სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდება 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნება და გაძლიერდება 3 ერთეულზე.

<sup>11</sup>დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

## მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>12</sup>

1. 2016 წელს საზღვარგარეთ განხორციელდა (50 + 15) 65-მდე ღონისძიება, საქართველოში განხორციელდა (40 + 5+40+710) 795-მდე ღონისძიება, აქედან (37+5) 42 საერთაშორისო, სულ 902 ღონისძიება;
2. საქართველოში განხორციელებულ ღონისძიებებს დაესწრო (110 000 +1 000+1 829 000+150 000) 2 090 000 მაცურებელი;
3. 2016 წელს დაფინანსდა 50-მდე ღონისძიება, რომელშიც 400-მდე ქართველმა ხელოვანმა მიიღო მონაწილეობა და წარადგინა ქართული კულტურის სხვადასხვა სფერო სხვადასხვა ქვეყანაში;
4. საქართველოსა და საზღვარგარეთ განხორციელდა ფესტივალები - 149 (15+100+34), სპექტაკლები - 141 და გამოფენები - 39.
5. სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების კუთვნილი შენობების ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 16 ერთეულზე; მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფილი იქნა და გაძლიერდა 3 ერთეულზე;

ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე<sup>13</sup>

ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირება, კულტურულ ცხოვრებაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი; თანადაფინანსების მოძიების პრობლემა;

### 2.3 პროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>14</sup> კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და სამუზეუმო სისტემის სრულყოფა 33 04

#### განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს მუზეუმები
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

ათასი ლარი

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიურისა კასოშესრულება	საკასოშესრულების % წლიურდაზუსტებულგეგმა სთანმიმართებაში	საკუთარისახსრებიდანმიმართულითანხები (ასეთისარსებობისშემთხვევაში)
33 04	პროგრამა	16 621.0	16 041.4	16 135.2	100.6	6 776.9
33 04 01	ქვეპროგრამა	10 090.0	10 623.6	10 616.9	99.9	4 633.3
33 04 02	ქვეპროგრამა	6 531.1	5 417.8	5 518.3	101.9	2 143.6

<sup>12</sup>ივსება საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული შედეგის შეფასების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი;

<sup>13</sup>ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში

<sup>14</sup>ივსება იმდენ პროგრამაზე, რამდენ პროგრამასაც მოიცავს მხარჯავი დაწესებულების ბიუჯეტი წლიური ბიუჯეტის კანონით.

## საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავი და მოძრავი ძეგლების კულტურულ ღირებულებათა აღრიცხვა;

საქართველოს მუზეუმებისა და მუზეუმ-ნაკრძალების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, ტექნიკური ხელშეწყობა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, დაცვა და პოპულარიზაცია. ინფრასტრუქტურის განვითარება, სარეაბილიტაციო-სარესტავრაციო ღონისძიებების განხორციელება;

სამუზეუმო კოლექციების დიაგნოსტიკა, ექსპონატთა რესტავრაცია, აღრიცხვა, ინვენტარიზაცია და პასპორტიზაცია;

UNESCO-ს ვალდებულებების შესრულება, ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მონიტორინგი, შესწავლა, შესაბამის სახელმწიფოებთან ერთად ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება.

## დაგეგმილი საბოლოო შედეგები<sup>15</sup>

სამუზეუმო ფასეულობათა გადარჩენის მიზნით, ექსპონატთა რესტავრაცია-კონსერვაცია თანამედროვე მეთოდების გამოყენებით;

ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება, მუზეუმებისა და კულტურული ძეგლების ინფრასტრუქტურის განვითარება;

კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში ტურისტების რაოდენობის ზრდა.

## მიღწეული საბოლოო შედეგები<sup>16</sup>

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული/კონსერვირებული ნიმუშები;

კონსერვირებული და რესტავრირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/კომპლექსები ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლები, მ.შ. მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;

კულტურული მემკვიდრეობის ადგილებში გაზრდილი ტურისტების რაოდენობა.

## დაგეგმილი საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>17</sup>

### 1. საბაზისო მაჩვენებელი

რესტავრირებული და კონსერვირებული 250-ზე მეტი ექსპონატი.

### მიზნობრივი მაჩვენებელი

რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი.

<sup>15</sup>პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი საბოლოო შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ საბოლოო შედეგებს.

<sup>16</sup>ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის, ხოლო თუ დაგეგმილი საბოლოო შედეგი მიიღწევა საანგარიშო პერიოდის შემდგომ, ივსება დაგეგმილი საბოლოო შედეგის პროგრესი საანგარიშო პერიოდისთვის.

<sup>17</sup>დაგეგმილი საბოლოო შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები).

## 2. საბაზისო მაჩვენებელი

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

### მიზნობრივი მაჩვენებელი

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;

## 3. საბაზისო მაჩვენებელი

ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 1 153 000-მდე გაიზარდება;

### მიზნობრივი მაჩვენებელი

ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 1 930 000-მდე გაიზარდება.

## მიღწეული საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>18</sup>

1. რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი;
2. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 90-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
3. სსიპ მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 1 196 300 გაიზარდა;

## ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე<sup>19</sup>

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტების ზრდა, რაც განპირობებული იყო ძეგლების მდგომარეობიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნით; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოების მაჩვენებელი არ გაზრდილა და შენარჩუნებულია წინა წლების მაჩვენებლების დონეზე, ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირება, მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა.

### 2.3.1 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>20</sup> [მუზეუმების ხელშეწყობა 33 04 01](#)

#### განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ საქართველოს მუზეუმები

#### საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

<sup>18</sup> იცხება საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული შედეგის შეფასების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი;

<sup>19</sup> იცხება ასეთის არსებობის შემთხვევაში

<sup>20</sup> იცხება იმდენ ქვეპროგრამაზე, რამდენ ქვეპროგრამასაც მოიცავს თითოეული პროგრამა წლიური ბიუჯეტის კანონით.

**განხორციელდა:** საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის (eGMCIS) შექმნის II ეტაპი; სამუზეუმო ფასეულობათა რესტავრაცია-კონსერვაცია; საქართველოს თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის მუზეუმში ქართული ისტორიული კოსტიუმის გამოფენის მოწყობა; სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა და ძეგლზე განსაცორციელებელი სამუშაოები; სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმის საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია; სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია (მეორე ეტაპი).

## **დაგეგმილი შუალედური შედეგები<sup>21</sup>**

მუზეუმში მატერიალური ბაზის გაუმჯობესება;

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-კონსერვაცია;

საზოგადოების ხელმისაწვდომობისა და ჩართულობის გაზრდა მუზეუმში მიმდინარე პროცესებში;

საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემის ([www.egmc.gov.ge](http://www.egmc.gov.ge)) ამოქმედება და მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

## **მიღწეული შუალედური შედეგები<sup>22</sup>**

მუზეუმში გაუმჯობესებული მატერიალური ბაზა;

მუზეუმებში დაცული კულტურული მემკვიდრეობის რესტავრირებული და კონსერვირებული ნიმუშები;

საზოგადოების ხელმისაწვდომობა და ჩართულობა მუზეუმში მიმდინარე პროცესებში;

სსიპ 6 მუზეუმში დაინერგა საქართველოს მუზეუმების კოლექციების საინფორმაციო სისტემა ([www.egmc.gov.ge](http://www.egmc.gov.ge)).

## **დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი<sup>23</sup>**

### **1. საბაზისო მაჩვენებელი**

მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 3;

### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

მუზეუმების მატერიალური ბაზის მოწესრიგება - 6;

### **2. საბაზისო მაჩვენებელი**

რესტავრირებული და კონსერვირებული 250-ზე მეტი ექსპონატი,

### **მიზნობრივი მაჩვენებელი**

რესტავრირებული და კონსერვირებული 300- მდე ექსპონატი,

### **3. საბაზისო მაჩვენებელი**

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 548 941-ზე მეტი;

<sup>21</sup>ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შუალედური შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ შუალედურ შედეგს.

<sup>22</sup>ივსება დაგეგმილი შუალედური შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის.

<sup>23</sup>დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები)

## მიზნობრივი მაჩვენებელი

მუზეუმებში ვიზიტორთა რაოდენობა 600 000-ზე მეტი;

### 4. საბაზისო მაჩვენებელი

სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის სისტემა (eGMC),

## მიზნობრივი მაჩვენებელი

სამინისტროს სისტემის 6 მუზეუმში ეტაპობრივად დანერგილი სამუზეუმო ფასეულობათა აღრიცხვის ელექტრონული სისტემა (eGMC)

## მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>24</sup>

1. მოწესრიგდა 3 მუზეუმის მატერილური ბაზა, კერძოდ: დასრულდა სსიპ – მიხეილ შენგელიას სახელობის ქართული მედიცინის ისტორიის მუზეუმის რეაბილიტაცია, სსიპ – აკაკი წერეთლის სახელმწიფო მუზეუმი საგამოფენო დარბაზის რეაბილიტაცია, სადაც ამჟამად მიმდინარეობს ექსპოზიციის მოწყობა; სსიპ – ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის სახლის რეაბილიტაცია და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
2. კონსერვაცია-რესტავრაცია ჩაუტარდა 300- მდე ექსპონატს;
3. ვიზიტორთა რაოდენობა 600 000-ზე მეტს აღწევს.
4. დასრულდა საქართველოს სამუზეუმო ფასეულობათა ელექტრონული აღრიცხვის ([www.egmc.gov.ge](http://www.egmc.gov.ge)) შექმნა. სისტემა დაინერგა სსიპ 6 მუზეუმში.

## ცდომილებისმაჩვენებელი

(%/აღწერა)დაგანმარტებადაგეგმილდამიღწეულსაბოლოოშედეგებსშორისარსებულგანსხვავებებზე<sup>25</sup>

ქვეყანაში ტურისტების ნაკადის შემცირება, მუზეუმების საქმიანობაში საზოგადოების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი

## 2.3.2 ქვეპროგრამის დასახელება და პროგრამული კოდი<sup>26</sup> კულტურული მემკვიდრეობის დაცვა 33 04 02

## განმახორციელებელი

- ✓ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
- ✓ სსიპ - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო

საანგარიშო პერიოდში, განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

<sup>24</sup> იცვება საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი;

<sup>25</sup> იცვება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

<sup>26</sup> იცვება იმდენ ქვეპროგრამაზე, რამდენ ქვეპროგრამასაც მოიცავს თითოეული პროგრამა წლიური ბიუჯეტის კანონით.

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების მდგომარეობის შეფასება, რეაბილიტაციის საკვლევო-საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში იურიდიული მომსახურების უზრუნველყოფა**

მომზადდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის შემდეგი ძეგლების რეაბილიტაციის საპროექტო და წინასაპროექტო დოკუმენტაცია:

- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხოვლე, ივანე ჯავახიშვილის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი;
- კასპის მუნიციპალიტეტი, გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმის პროექტი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ.თაზაქენდი ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი;
- ქ. ქუთაისი, ხარების ტაძრის მცირე რეაბილიტაციის პროექტი;
- მარნეულის მუნიციპალიტეტი, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის რეაბილიტაციის პროექტი;
- მცხეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. მამკოდა წმ. გიორგის ეკლესიის გარშემოსავლელის მოწყობის პროექტი;
- სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიდი ჯიხაში ნ. ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის კომპლექსის გათბობა-გაგრილება-ვენტილაციის პროექტი;
- წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. თრიალეთი, ლუთერანული ეკლესიის მცირე რეაბილიტაციის პროექტი;
- მესტიის მუნიციპალიტეტი, სვანური კოშკების (7 კოშკი: სოფ. ეცერი-1 კოში, სოფ. ხერხვა-1 კოში, სოფ. ლუჰა-5 კოში) რეაბილიტაციის პროექტი;
- თიანეთის მუნიციპალიტეტი, ტოლაანთოფელი (სოფ. ტოლა), სკოლის რეაბილიტაციის პროექტი;
- თიანეთის მუნიციპალიტეტი, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი;
- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ერთაწმინადა, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის აღდგენის პროექტი;
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, შორაპნის ციხე-სიმაგრის გადაუდებელი სამუშაოების პროექტი;
- ყვარლის მუნიციპალიტეტი, ყვარლის ციხის დაზიანებული გოდოლის რეაბილიტაციის პროექტი;
- ყვარლის მუნიციპალიტეტი, ილია ჭავჭავაძის კოშკის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი;
- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვათახევი, მამათა მონასტრის ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიის გადახურვის რეაბილიტაციისა და კრამიტის საბურველის მოწყობის პროექტი;
- კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კავთისხევი, თავკავთას წმ. გიორგის სახელობის ეკლესიის დროებითი გადახურვის მოწყობის პროექტი;
- გორის მუნიციპალიტეტი, წეროსხევის სამონასტრო კომპლექსში შემავალი, ღვთისმშობლის ჯვარ-გუმბათოვანი ეკლესიის ძალოვანი ხარაჩოს მოწყობის პროექტი;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხახალაჯვარი, დარბაზული ეკლესიის რესტავრაციის პროექტი;
- ქ. ქუთაისი, მწვანეყვავილას მთავარანგელოზის ეკლესიის რესტავრაციის პროექტი;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩიხარიში, ოქონის წმ. გიორგის ეკლესიის პროექტის კორექტირება;
- ლენტეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩუკული, მთავარანგელოზის ეკლესიის პროექტის კორექტირება;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფ. თისელი, ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დამცავი გადახურვის მოწყობის პროექტი;
- დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ოძისი, ერისთავების სასახლის მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელ ზემო მაჩხაანში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის კონსერვაციისა და გადახურვის მოწყობის პროექტი;

- ქ. თბილისი, შ. რუსთაველის გამზ. #16-შიმდებარე შენობის („ოფიცერთასახლის“) სარდაფში არსებული კირილე ზდანევიჩის მიერ შესრულებული კედლის მოხატულობის წინასაპროექტო შეფასება და საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება;
- ახმეტის მუნიციპალიტეტი, ალავერდის წმ. გიორგის სახელობის ტაძრის სამხრეთი მკლავის XV-XVII საუკუნეების კედლის მხატვრობის საკონსერვაციო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია;
- ავრანლოსა (წალკის მუნიციპალიტეტი) და სამშვილდის (თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი) ნაქალაქარის კომპლექსური ძეგლების კვლევის პირველი ეტაპი;
- ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სათხეს ეკლესიის რეაბილიტაციის წინასაპროექტო კვლევა;
- ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჭაჭკარის აზომვითი სამუშაოები;
- ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის კომპლექსის ინკლუზიური ტურიზმისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით ადაპტირებული გარემოს მისაწვდომობის აუდიტი/კვლევა;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, უჯარმის კომპლექსის ტერიტორია, კაფის პროექტი;
- მცხეთის მუნიციპალიტეტი სოფ. წინამძღვრიანთკარი, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის სასოფლო-სამეურნეო სკოლის ისტორიული შენობის რეაბილიტაციის პროექტი;
- ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბრემა, ზღუდერის ეკლესიის გადახურვის რეკონსტრუქციის პროექტი;
- გორის მუნიციპალიტეტი, გუდარებტყა-ციხიაგორას ნამოსახლარზე საპრეზენტაციო სივრცის მოწყობის პროექტი;
- ქ.თელავი, აბანოს ქ. №1, საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის პროექტი;
- ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის სამონასტრო კომპლექსის ახლადგამოვლენილი გამოქვაბულების 3D ლაზერული აზომვითი სამუშაოები.
- გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის კედლის მხატვრობის მდგომარეობის წინასწარული შეფასება და კვლევა;

სარეაბილიტაციო ობიექტების საინჟინრო-გეოდეზიური და გეოლოგიური კვლევების საპროექტო დოკუმენტაციის მომზადება:

- ✓ კასპის მუნიციპალიტეტი, გრაკლიანი გორის არქეოლოგიური მუზეუმი;
- ✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი აჭის ტაძარი და გალავანი;
- ✓ ქ.ქუთაისში მწვანეყვავილას მთავარანგელოზთა ეკლესია;
- ✓ ქ. თბილისში თხინვალას წმ. გიორგის სახელობის ეკლესია;
- ✓ მცხეთის მუნიციპალიტეტი არმაზისხევის საექსპოზიციო დარბაზი;
- ✓ კასპის მუნიციპალიტეტი, სოფ. კავთისხევის ხვედრელიანთ უბანი, გიორგი შატბერაშვილის საცხოვრებელი სახლი;

**საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, ობიექტების არქეოლოგიური შესწავლა-კონსერვაცია და კულტურული მემკვიდრეობის კედლის მხატვრობის კონსერვაცია**

დასრულდა 2016 წელს დაგეგმილი შემდეგი ძეგლების რესტავრაცია-რეაბილიტაცია, კონსერვაცია და არქეოლოგიური შესწავლა:

- ქ. მცხეთა, მცირე ჯვრის ტაძრის ქვის საკონსერვაციო სამუშაოები (I ეტაპი);
- თიანეთის მუნიციპალიტეტი, მირზა გელოვანის სახლ-მუზეუმის სარესტავრაციო სამუშაოები (II ეტაპი);
- ყვარლის მუნიციპალიტეტი, დოლოჭოპის არქეოლოგია (II ეტაპი);
- ქ. მცხეთა, არმაზისხევის პიტიახშების რეზიდენციის არქეოლოგია;
- სენაკის მუნიციპალიტეტი, ნოქალაქევის ნაქალაქარის ტერიტორიის არქეოლოგია;
- მესტიის მუნიციპალიტეტი, ზემო სვანეთში მდებარე კოშკისა და მარტვილის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ქ. მცხეთა, ბებრისციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების IV ეტაპი;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გეგუთის კომპლექსის არქეოლოგია, გამოვლენილი ნაშთების კონსერვაცია და საიტის მოწყობა;
- დუშეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ჩარგალი, ვაჟა-ფშაველას სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის და ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, „დიდნაურის“ ნაქალაქარის არქეოლოგია;
- მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელი ლენჯერი, კახაბერ გულედანის კოშკის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტი, ატენის სიონის ქვის კონსერვაცია;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ნაეკლესიარის არქეოლოგია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტი, სოფელ ხუნწში მდებარე ქუქითის გორაზე არსებული ციხის ტერიტორიის არქეოლოგია;
- ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო მსხალგორი. წმ. გიორგის სახელობის კომპლექსი და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნაქალაქარის არქეოლოგია;
- ცაგერის მუნიციპალიტეტი, ხვამლის მთის არქეოლოგია;
- ქარელის მუნიციპალიტეტი, სოფ. ურბნისში მდებარე სამაროვანის არქეოლოგია;
- ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფელი გურიანთა, ვაშნარის ნაქალაქარის არქეოლოგია.
- ქ. თბილისი, მეტეხის ღვთისმშობლის ტაძრის (სამხრეთ და აღმოსავლეთ ფასადი) სარეაბილიტაციო სამუშაოები (III ეტაპი);
- ქ. მცხეთა, ბაგინეთის არქეოლოგია;
- კასპის მუნიციპალიტეტი, გრაკლიანი გორის არქეოლოგია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი, თისელის გუმბათიანი ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტი, უჯარმის ჯვარპატიოსანის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);
- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი, სოფ. თხილნარის, სარფის და სკურდიდის არქეოლოგია;
- გურჯაანის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზიარის (ადგილი “ქოდალო”) ტერიტორიის არქეოლოგია;
- გორის მუნიციპალიტეტი, გუდაბერტყას ნამოსახლარის ტერიტორიის არქეოლოგია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელ თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის კედლის მხატვრობის პირველადი გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები;
- მესტიის მუნიციპალიტეტი, მერაბ ხერგიანის მარტვილის რეკონსტრუქციის (I ეტაპი) სამუშაოები;
- ყვარლის მუნიციპალიტეტი, სოფელ საბუეს (ფიქალეები) იოანე ნათლისმცემლის სახელობის სამეკლესიანი ბაზილიკის გაწმენდითი სამუშაოები;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი, სოფელ თისელის ღვთისმშობლის სახელობის ეკლესიის დროებითი გადახურვის მოწყობის სამუშაოები;

- დუშეთის მუნიციპალიტეტი სოფელი ოძისი, დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- სენაკის მუნიციპალიტეტი, პ. ზაქარაიას სახელობის ნოქალაქევის არქიტექტურულ -არქეოლოგიური კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები (I ეტაპი);
- მესტიის მუნიციპალიტეტი, სოფელ ცხუმარში მდებარე ერეკლე საღლიანის მაჩუბის ნანგრევების გაწმენდითი სამუშაოები;
- ვარძიის სამონასტრო კომპლექსის სამრეკლოს ქვედა უბანზე გამოვლენილი გამოქვაბულების არქეოლოგია;
- ახალციხის მუნიციპალიტეტი, აწყურის ახლად აღმოჩენილი ეკლესიის არქეოლოგია;
- ასპინძის მუნიციპალიტეტი, ვარძიის ღვთისმშობლის მიძინების სახელობის მთავარი ტაძრის კედლის მოხატულობის პირველადი გადაუდებელი გაწმენდითი სამუშაოები
- ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, შორაპნის ციხის არქეოლოგია;
- მცხეთის მუნიციპალიტეტი, მამკოდას წმ.გიორგის სახელობის ეკლესიის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები;
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზემო მაჩხაანში მდებარე ღვთისმშობლის ეკლესიის კონსერვაციისა და გადახურვის სამუშაოები;
- კასპის მუნიციპალიტეტი, გრაკლიანი გორის არქეოლოგიური ობიექტის დამცავი გადახურვის განათების მოწყობის სამუშაოები;
- გორის მუნიციპალიტეტი, გუდაბერტყა - ციხიანორას ნამოსახლარზე საპრევენტაციო სივრცის მოწყობის სამუშაოები;

### **კულტურული მემკვიდრეობის კოდექსი**

„კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ შემუშავების პროცესში შეიქმნა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ერთიანი კოდიფიცირებული დოკუმენტი. კოდექსის პროექტის განხილვის მიზნით, სააგენტოს ცალკეულ სამსახურებთან გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული და შეჯერებული იქნა ცალკეული მარეგულირებელი ნორმები, კერძოდ: კოდექსით გათვალისწინებული ტერმინტაგანმარტებები, დამცავი ზონების დადგენის წესები და მექანიზმები, არამატერიული მემკვიდრეობის, მსოფლიო მემკვიდრეობისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში პროფესიული რეგულირების საკითხები. შეხვედრა ზეგამოთქმული შენიშვნებისა და წინადადებების საფუძველზე, დასრულებულია კოდექსის შემდეგ შემადგენელ თავებზე მუშაობა, ესენია: ტერმინთა განმარტება, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობა, მსოფლიო მემკვიდრეობა, სამუზეუმო სისიტემა და კულტურული ფასეულობები.

„კულტურული მემკვიდრეობის კოდექსის“ შემუშავების პროცესში, განხორციელდა შემდეგი ქმედებები: კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოქმედი საკანონმდებლო აქტების ერთიანი კოდიფიცირებული დოკუმენტის პროექტის განხილვის მიზნით, სააგენტოს ცალკეულ სამსახურებთან გაიმართა არაერთი სამუშაო შეხვედრა, რომლის ფარგლებშიც განხილული და შეჯერებული იქნა ცალკეული მარეგულირებელი ნორმები. განხილვების შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა და თავიდან გადამუშავდა კოდექსის შემდეგი თავები: კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის აღრიცხვა და მართვა; მსოფლიო კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა; კულტურულ და ბუნებრივ ფასეულობათა აღრიცხვა და მიმოქცევა; კულტურული/ბუნებრივი მემკვიდრეობა და სივრცითი გეგმარება, დამცავი ზონების სისიტემა და საქმიანობათა რეგულირება.

**UNESCO - ს კონვენციების ინპლემენტაცია და საერთაშორისო ურთიერთობების განვითარება**

**მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაცია:**

1. მომზადდა და გამოიცა საინფორმაციო ილუსტრირებული ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის გზამკვლევი“ - რომელშიც მოკლედ არის აღწერილი 2003 წლის იუნესკოს კონვენციის მიზნები, მისი არსი, საქართველოში კონვენციის განხორციელების პროცესი და საქართველოში სტატუსის მქონე აკმ-ს ელემენტები;
2. 2016 წლის ნოემბერში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფოთაშორისი კომიტეტი განიხილავს საქართველოს მიერ 2015 წლის მარტში წარდგენილ აკმ-ს ელემენტს „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“. აღნიშნული განხილვის წინმსწრებად, სათანადო საინფორმაციო ფონის შესაქმნელად და ნომინაციის საერთაშორისო მხარდაჭერის მოსაპოვებლად, მომზადდა და გამოიცა საილუსტრაციო ბროშურა - „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“;
3. გაიმართა კონსულტაციები გერმანელთა სათვისტომოს ხელმძღვანელთან ბატონ ჰარე აუსტთან საქართველოში გერმანული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების შესაძლო მოძიების თაობაზე, მათი ინვენტარიზაციის შესაძლებლობებზე;
4. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო განაგრძობს სამუშაო-საინფორმაციო ტიპის შეხვედრებს, რომელიც ეხება საქართველოში იუნესკოს 2003 წლის კონვენციის „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ განხორციელების საკითხებს. სწორედ, ამ მიზანს ემსახურებოდა საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის უნივერსიტეტის (30 მარტი), საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (15 მარტი) და ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის (18 მარტი) სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისთვის ჩატარებული შეხვედრები, სადაც დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია აკმ-ს რაობის, მისი მნიშვნელობის, დაცვის, პოპულარიზაციისა და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების შესახებ;
5. 19 აპრილს, ბულგარეთის ქალაქ სოფიაში, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ სრულყოფილია წევრის სტატუსით მონაწილეობა მიიღო იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ცენტრის საანგარიშო კონფერენციაში. 10 ქვეყნის წარმომადგენელმა - რომლებიც აღნიშნული ცენტრის წევრ-ქვეყნებად გვევლინებიან - და იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის რეგიონალურმა კოორდინატორმა, განიხილეს ახალი წევრის - მოლდოვეთის მიღების საკითხი, დაამტკიცეს ცენტრის განახლებული წესდება და დირექტორატის შემადგენლობა;
6. მომზადდა და გამოიცა - ყოველწლიური ბროშურა „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“;
7. მიმდინარე წელს უკვე მეოთხედ ჩატარდა უფროსკლასელთა კონკურსი სახელწოდებით „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგი“, რომელსაც საფუძველი 2012 წელს ჩაეყარა. წლებანდელი საკონკურსო თემა გახლდათ „ზღაპრები და ლეგენდები ბებია სკივრიდან“, რომელშიც 89 საჯარო და კერძო სკოლის 400-მდე მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა. წლებანდელ კონკურსში პარტნიორობა გაგვიწია საქართველოს შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებამ და სწორედ მათი დახმარებით 28 გამარჯვებული ნამუშევარი იქნა გამოვლენილი.
8. საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო წელს პირველად გახდა თანაორგანიზატორი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ დაფუძნებული „ვეფხისტყაოსნის“ ზეპირად მცოდნეთა კონკურსისა, რომელიც ა/წ 22-23 ივნისს ახალციხეში გაიმართა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სხვადასხვა კუთხის ცხრა წარმომადგენელმა. ძალზედ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე კონკურსის ფარგლებში წარმართა ნოდარ ბეგიაშვილის პროექტი „ვასურათებთ და ვაცოცხლებთ ვეფხისტყაოსანს“, რომელშიც ჩართულნი იყვნენ ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ რუსთავის, ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ არლისა და უდეს მოსწავლეები.
9. იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-11 სესიაზე (28 ნოემბერი-2 დეკემბერი). „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით სიაში შეიტანეს. გადაწყვეტილება მიღებულ იქნა, ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში.
10. ნოემბრიდან სტარტი აიღო პროექტმა „ვასურათებთ ქართულ ზღაპრებს“. პროექტის პარტნიორი ორგანიზაციაა შოთა რუსთაველის სახელობის ლიტერატურის ინსტიტუტი, ინსტიტუტის ქართული ფოლკლორის განყოფილებამ გადმოგვცა ათი, ნაკლებად ცნობილი ქართული ზღაპარი, რომლსაც ასურათებენ საქართველოს სხვადასხვა კუთხის სკოლების მოსწავლეები. პროექტი დასრულდება 2017 წლის გაზაფხულზე. მოსწავლეების მიერ დასურათებული ქართული ზღაპრების კრებული საჩუქრად გადაეცემა პროექტის მონაწილე სკოლებსა და სოციალურად დაუცველ ბავშვებს.

## **საქართველო- გერმანია - თანამშრომლობა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში**

2015 წელს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 39-ე სესიის მსვლელობისას, იუნესკოს ექსპერტებთან და საერთაშორისო პარტნიორებთან, კერძოდ ბერლინის არქეოლოგიურ ინსტიტუტთან კონსულტაციებითა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსთან შეჯერებულად, ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური მხარდაჭერით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფმა, 2016 წლის თებერვალში ქ.ბერლინში (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) სამუშაო შეხვედრები გამართა ბერლინის არქეოლოგიური ინსტიტუტის ხელმძღვანელთან პროფ. ჰანსენთან და პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ხელმძღვანელთან პროფ. პარსინგერთან; ასევე გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურული მემკვიდრეობის სფეროს შესაბამის ადმინისტრაციულ პირებთან.

სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო გერმანულ წამყვან ინსტიტუტებთან თანამშრომლობის გადრმავება სფეროს ისეთი სტრატეგიული მიმართულებების დასახვეწად, როგორცაა:

კულტურული მემკვიდრეობის სფეროს საკანონმდებლო ბაზის განახლების პროცესში საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, მათ შორის: კულტურული ფასეულობების აღრიცხვა-დაცვის საკითხების რეგულაციების გაუმჯობესება, ამ საკითხებთან მიმართებაში იუნესკოს კონვენციების იმპლემენტაცია, ასევე კულტურული მემკვიდრეობის სახელმწიფო ფონდის ჩამოყალიბების პერსპექტივა. ქართულ-გერმანული პარტნიორობის გადრმავების კონტექსტში ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ (გერმანიაში) არსებული ქართული კულტურული ფასეულობების შესახებ ინფორმაციის მოძიება, სისტემატიზაცია და სამეცნიერო კვლევებისათვის მისაწვდომობის ხელშეწყობა და 2017 წელს ქართულ-გერმანული კულტურული ურთიერთობების 200 წლის იუბილეს ფარგლებში ერთობლივი ღონისძიებების დასახვა. მას მერე რაც ბაგრატის საკათედრო ტაძრის შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების შესახებ, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ისტორიული კოლხეთის (ძველი ქუთაისი) კულტურული ლანდშაფტის კონტექსტში შესაძლებლობებისა და პოტენციალის ერთობლივი კვლევა მისი მსოფლიო მემკვიდრეობის ეროვნულ წინასწარულ ნუსხაში წარსადგენად.

სამუშაო შეხვედრებზე გერმანიის მხარემ მხარი დაუჭირა ქართული სამუშაო ჯგუფის ინიციატივას და დაადასტურა თავისი მზაობა ეროვნულ სააგენტოსთან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის გასაძრამვებლად.

### **მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობა:**

ეროვნული სააგენტო, თავისი კომპეტენციის ფარგლებში აგრძელებს მუშაობას საქართველოში მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის იმპლემენტაციის ხელშეწყობად.

იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და მის მრჩველ ორგანიზაციებთან (ICOMOS და ICCROM) მჭიდრო თანამშრომლობით, ძალღონეს არ იშურებს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ განსაზღვრული გამოსასწორებელი ღონისძიებების შესასრულებლად, რაც დადებითად იქნა შეფასებული 2010, 2012 და 2014 წლების რეაქტიული მონიტორინგის მისიებისა და UNESCO-ს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წინა სესიებზე.

1. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის 39-ე სესიის გადაწყვეტილებების საპასუხოდ, ასევე მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის სახელმძღვანელო პრონციპებით განსაზღვრული რეგულაციების თანახმად, 2016 წლის 1 თებერვლადმდე ეროვნული სააგენტოს მიერ მომზადებულ და გაგზავნილ იქნა საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის 2 ქართული ძეგლის (ბაგრატის საკათედრო ტაძარი და გელათის მონასტერი; მცხეთის ისტორიული ძეგლები) საკონსერვაციო მდგომარეობის შესახებ ანგარიშები და ქვეყნის მიერ ამ ძეგლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით განხორციელებული პროგრესის შესახებ ანგარიშები;
2. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივითა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით, მესამე რეგიონული განვითარების პროგრამის ფარგლებში მუნიციპალური განვითარების ფონდსა და მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს შორის მცხეთის მცხეთის მიწათსარგებლობის გენერალური

გეგმის შემუშავების პროცესში და სხვა მსოფლიო მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ საკითხებში სახელმწიფოსათვის საკონსულტაციო-მეთოდოლოგიური დახმარების გაწევასთან დაკავშირებით 2015 წელს ხელმოწერილი ხელშეკრულების პირობების თანახმად, 2016 წლის განმავლობაში (თებერვალი-მარტი, დეკემბერი), განხორციელდა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ განსაზღვრული ტექნიკური დახმარების ჯგუფის 2 მისია საქართველოში. აღნიშნული თანამშრომლობის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლებზე მართვის უნარების გაძლიერებისა და ყველა დაინტერესებულ მხარეს შორის კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ჩვენი უნიკალური მემკვიდრეობის სათანადო მოვლა-პატრონობასა და მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნებას. ორივე მისიის მიზანი იყო მსოფლიო მემკვიდრეობის საფრთხის ქვეშ მყოფი მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გამოსასწორებლად ქ. მცხეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის პროექტის გაცნობა და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება; იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ქ. მცხეთის მიწათსარგებლობის გეგმის შემუშავებული პროექტი იუნესკოს მიერ დაწუნებულ იქნა, დღის წესრიგში დადგა დოკუმენტის გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი ქმედებების დაგეგმვა. მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეჯერებულად, ეროვნულმა სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება თავისი კომპეტენციის ფარგლებში გადახედოს და რეალისტურობის შესაბამისად დააკორექტიროს ქ. მცხეთის დამცავის ზონების დოკუმენტაცია; მაშინ, როდესაც მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის განახლებული ვერსია იუნესკოს რეკომენდაციების შესაბამისად უნდა გადამუშავდეს უწყებათაშორისო საკოორდინაციო ჯგუფის მიერ. იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის ტექნიკური დახმარების ჯგუფმა მეტად ღირებული რეკომენდაციები მოაწვდინა ასევე მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის ახალი შენობის პროექტთან დაკავშირებით, რომლის დაფინანსების ვალდებულებაც აიღო მსოფლიო ბანკმა. გამოსასწორებელ ღონისძიებათა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია 2015 წელს საქართველოს მთავრობის მიერ - მცხეთის ისტორიული ძეგლების მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, ქ. მცხეთის მცხეთის სრული ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცებამდე (რომელიც მოიცავს ქ. მცხეთის არქეოლოგიური დაცვის, ლანდშაფტის დაცვის ზონებს, ასევე განაშენიანების რეგულირების ზონის ნაწილსა და მათ მიღმა არსებულ იმ ტერიტორიებს, რომლებზეც განაშენიანების შეჩერება მოთხოვნილია UNESCO-ს რეკომენდაციებით) ქალაქმშენებლობის რეგულირების განსაკუთრებული რეჟიმის შემოღება და UNESCO-ს რეკომენდაციების შესაბამისად მორატორიუმის გამოცხადება როგორც ახალმშენებლობებზე, ასევე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწების პრივატიზაციაზე; ვიდრე არ შემუშავდება ქ. მცხეთის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა ჯერ კიდევ საჭიროებს თვისობრივ გადამუშავებას, მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან შეჯერებულად და ეროვნული სააგენტოს ინიციატივის საფუძველზე მორატორიუმის ვადა გაგრძელდა 2018 წლის დეკემბრამდე, ვიდრე სრულიად არ დასრულდება მართვის დოკუმენტაციის შედგენა-დამტკიცება.

3. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის წინა წლების გადაწყვეტილებების შესაბამისად, ეროვნულმა სააგენტომ ასევე შეიმუშავა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა დაამტკიცა მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლების - ჯვრის, სამთავროსა და სვეტიცხოვლის ერთიანი ბუფერული ზონა, რაც მნიშვნელოვან ნაბიჯად იქნა მიჩნეული კომიტეტის მიერ.
4. მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის მე-40 სესიის წინმსწრებად, საფრთხის ქვეშ მყოფი მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის: მცხეთის ისტორიული ძეგლების - ძირითად ნუსხაში დაბრუნების შესაძლებლობების განსახილველად 2016 წლის ივნისში კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილის, ბატონი ლევან ხარატიშვილის ხელმძღვანელობით სამუშაო შეხვედრა გაიმართა იუნესკოს შტაბბინაში და საერთაშორისო იკომოსის ოფისში (პარიზი, საფრანგეთი).
5. საქართველოს წარმომადგენლობითმა დელეგაციამ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა მინისტრის, ბატონი მიხეილ გიორგაძის ხელმძღვანელობით და საგარეო საქმეთა სამინისტროს აქტიური ჩართულობით მონაწილეობა მიიღო მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის საიუბილეო მე-40 სესიის მუშაობაში, რომელიც გაიმართა ქალაქ სტამბოლში (თურქეთის რესპუბლიკა). შედეგად მცხეთის ისტორიული ძეგლები დაბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში. თუმცა, გადაწყვეტილების შესაბამისად, ქვეყანას

დაევალა მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება, მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლის მდგომარეობის გასამყარებლად.

ეროვნულმა სააგენტომ 2016 წელსვე დაიწყო გამოსასწორებელი ქმედებების განხორციელება, კერძოდ: განახორციელა მცხეთის საკონსერვაციო გეგმის მოსამზადებლად შესაბამისი კვლევა და მოამზადა ამ დოკუმენტის მოსამზადებლად განსახორციელებელი ქმედებების ნუსხა; მოამზადა მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონების ანალიტიკური და სამართლებრივი რეტროსპექტიული კვლევა, და ამ კვლევის საფუძველზე შეადგინა შესაბამისი რუკები. შესრულებული სამუშაოები დადებითად იქნა შეფასებული მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრის მიერ განსაზღვრული ტექნიკური დახმარების ჯგუფის აღნიშნული სამუშაოები საფუძველად დაედება მცხეთის

## **COMUS-ის პროექტი**

გრძელდება ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტის „თემის მიერ მართული ურბანული სტრატეგიები ისტორიულ ქალაქებში“ (COMUS)-ის რეგიონალური პროგრამა (2015-2017). პროგრამა შექმნილია მცირე და საშუალო ზომის ქალაქებში ინოვაციური დაგეგმვის მოდელის შექმნისა და დანერგვისათვის. პროგრამის ძირითადი პარტნიორია მსოფლიო მემკვიდრეობის ქალაქების ორგანიზაცია. პროგრამაში მონაწილეობს 5 ქვეყანა: საქართველო, სომხეთი, უკრაინა, მოლდოვა და ბელორუსია. მონაწილე ქვეყნებიდან პროექტში წარდგენილია 9 საპილოტე ისტორიული ქალაქი, მათ შორის საქართველოდან - დუშეთი და ჭიათურა.

საქართველოში პროექტის განხორციელებას კოორდინაციას უწევს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო. სააგნარიშო პერიოდში, ეროვნული სააგენტო პერიოდში აქტიურად არის ჩართული და ხელს უწყობს დუშეთსა და ჭიათურაში მიმდინარე სამუშაო შეხვედრების მომზადებასა და მონაწილეობას.

COMUS-ის განხორციელების ფარგლებში, 2016 წლის 7-8 დეკემბერს თბილისსა და დუშეთში გაიმართა პროექტის მე-5 რეგიონული შეხვედრა, სადაც მონაწილეობას მიიღეს პროექტის მონაწილე 9 ქალაქის მერმა, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის წარმომადგენლებმა, პროექტის მონაწილე ქვეყნების ეროვნულმა კოორდინატორებმა და შესაბამისმა ექსპერტებმა.

## **გერმანული კომპანიის “MC Bauchemie”-ის პრეზენტაცია/ვორქშოპი**

2016 წლის 1-2 ივნისს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში გაიმართა სამშენებლო ქიმიის გერმანული კომპანიის “MC Bauchemie”-ის პრეზენტაცია/ვორქშოპი.

პრეზენტაცია ეხებოდა ისტორიული ძეგლების რეაბილიტაციის და გამაგრების ახალ მეთოდებს, კონსტრუქციის ჰიდროიზოლაციის აღდგენას ჰორიზონტალური ბარიერების მეშვეობით.

## **ენგურჰესის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლი**

2016 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით და ესტონეთის კულტურის სამინისტროს მიერ რეკომენდებულ წამყვან ესტონელ ექსპერტებთან - ოტტ სარაპუუ და ანდრუს კორესაარი - თანამშრომლობით დაიწყო მუშაობა ენგურჰესის თაღოვანი კაშხლის ინდუსტრიული მემკვიდრეობის ძეგლის მიმდებარედ ინფრასტრუქტურის განვითარების სტრატეგიული გეგმის მომზადებაზე. პროექტი ხორციელდება საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტროსა და შპს ენგურჰესის დირექტორთა საბჭოსთან თანამშრომლობით.

გეგმის თანახმად, ენგურჰესის კაშხლის ინფრასტრუქტურა მოიაზრებს გადასახედ მოედნებს, საბაგირო გზას, სამეცნიერო და აღმოჩენათა ცენტრს, ღია საკონცერტო სივრცესა და მსოფლიოში ყველაზე მაღალ ლიფტს კაშხალზე; განვითარების კონცეფცია, ასევე, განიხილავს კაშხლის გამოყენებას სხვადასხვა საინსტალაციო-წარმოსახვითი ღონისძიებებითვის. სტრატეგიული გეგმა მიზნად ისახავს არა მხოლოდ ენგურჰესის თაღოვანი

კაშხლის მიმდებარე ტერიტორიის, არამედ რეგიონის ინფრასტრუქტურისა და ტურიზმის განვითარების ხელშეწყობას. პროექტი ათწლიანია და მისი განხორციელება 2017 წლიდან დაიწყება.

### **ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მესამე ეტაპი**

2016 წელს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, იუნესკოს ექსპერტის პროფ. კლაუდიო მარგოტინისა ხელმძღვანელობით და იტალიის წამყვანი უნივერსიტეტების ჩართულობით, გაგრძელდა ვარძიის კლდეში ნაკვეთი კომპლექსის გადარჩენის გეგმის მესამე ეტაპის - მულტიდისციპლინარული კომპლექსური კვლევებისა და შესაბამისი ფიზიკური სამუშაოების განხორციელება.

კერძოდ, ქართულ სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო თანამშრომლობით განხორციელდა გეოლოგიური მდგომარეობის კვლევა, კლდის მექანიკის კვლევა, მასალის (კლდის) ლაბორატორიული, ჰიდროლოგიისა და ჰიდროგეოლოგიური კვლევები, რის საფუძველზეც შემუშავდა პრაქტიკულად განსახორციელებელი გამაგრებების პროექტები; ასევე შემუშავდა კლდის გამაგრების გენერალური გეგმა და სამოქმედო გეგმა რისკის შემცირების მიმართულებით.

ქართული სამუშაო ჯგუფების მიერ ფიზიკური სამუშაოებისას იტალიელი ექსპერტები ახორციელებდნენ მეთოდოლოგიურ ზედამხედველობას და ქართველი სპეციალისტების პროფესიულ წვრთნას.

შედეგად, 2016 წლის განამკვლობაში გამაგრდა განსაკუთრებით საშიში 3 მოცულობითი არეალი და განისაზღვრა შემდეგ წლებში განსახორციელებელი სამუშაოების მოცულობა.

### **ტაო-კლარჯეთის კულტურული მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი საერთაშორისო კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტში**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ოქსფორდის ბიზანტიური კვლევების ცენტრს შორის თანამშრომლობის ფარგლებში 2016 წლის 17-18 ივნისს გაიმართა პირველი საერთაშორისო კონფერენცია ოქსფორდის უნივერსიტეტში, რომელიც მიემდგვნა ტაო-კლარჯეთის კულტურულ მემკვიდრეობას. კონფერენციაზე ქართველი და ბრიტანელ სპეციალისტებთან ერთად მონაწილეობას იღებენ თურქი მეცნიერები, რაც უზრუნველყოფს ჩვენს ქვეყნებს შორის უკვე არსებული თანამშრომლობის გაღრმავებას და ხელს უწყობს ჩვენი საერთო მემკვიდრეობის სათანადო მოვლა-პატრონობას. 2016 წლის 20 ივნისს სააგენტოს თანამშრომლებმა სამუშაო შეხვედრა გამართეს „ENGLISH HERITAGE“-ს აღმასრულებელ პირებთან. ასევე ესწრებოდა გაერთიანებულ სამეფოში საქართველოს სრულუფლებიანი ელჩი, ქალბატონი თამარ ბერუჩაშვილი. სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში ჩვენს ქვეყნებში არსებული სისტემების შესახებ გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობის სამომავლო პერსპექტივების დასახვა.

### **თანამშრომლობა ICCROM- თან**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ICCROM-ს თანამშრომლობის ფარგლებში აგრძელებს მუშაობას კულტურული მემკვიდრეობის სფეროში საწვრთნელი პლატფორმის ჩამოყალიბების მიმართულებით. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში შესაძლებლობების ანალიზის განხორციელების მიზნით, პროექტი მოიაზრებს ეროვნული სააგენტოს მიერ შერჩეულ თემატური საკვლევო მაგალითების შესწავლას ICCROM-ის ექსპერტების მიერ. 2015 წელს განხორციელდა საქართველოში ბოლო წლებში შესრულებული კედლის მხატვრობის კონსერვაციის შეფასება ICCROM-ის ექსპერტის - ბ-ნი ვერნერ შმიდის მიერ. საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მეორე სამუშაო მისია ICCROM-ის ექსპერტი ბ-ნი გამინი ვიჟესურისას მიერ, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოში ბოლო წლებში განხორციელებული არქეოლოგიური სამუშაოების შეფასებას. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა სამუშაო შეხვედრები ეროვნული სააგენტოს სათაო ოფისში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეების მონაწილეობით, ასევე განხორციელდა სავსე შეხვედრები სააგენტოს მიერ შერჩეულ საკვლევ ძეგლებზე ადგილობრივი ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეობით. აღსანიშნავია, რომ 2016 წლის ივლისში ქსტამბულში ICCROM-ს წარმომადგენლებთან გამართული სამუშაო შეხვედრებისას მიღწეული მოლაპარაკებების შესაბამისად და შემდგომ გადაიგეგმა პროექტის 2016-2017 წწ. სამოქმედო გეგმა და ბიუჯეტი, რის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები იქნა შეტანილი ეროვნულ სააგენტოსა და ICCROM-ს შორის გაფორმებულ N3-417 ხელშეკრულებაში.

## **ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის სამუშაო ვიზიტი საქართველოში**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის ეროვნული სააგენტო აგრძელებს ნაყოფიერ თანამშრომლობას ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატთან. საანგარიშო პერიოდში სამომავლო პრიორიტეტების განსასაზღვრად სამუშაო შეხვედრაზე საქართველოში სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი ქალბატონი რეიდუნ ვეა და მისი 3 კოლეგა დეპარტამენტიდან. სამუშაო შეხვედრებზე განხილულ იქნა ის მიმართულებები, რომელიც ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთვის პრიორიტეტულად არის მიჩნეული და შესაბამისად, განისაზღვრა ის შესაძლო პროექტები, რომელთა ფარგლებში ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დეპარტამენტი მზად არის განაგრძოს ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობა.

## **არქეოლოგიური ტურიზმის საერთაშორისო ყოველწლიური გამოფენა ქ.პესტუმში**

2016 წლის 27-30 ოქტომბრის ჩათვლით ქ. პესტუმში (იტალია) გამართულ არქეოლოგიური ტურიზმის საერთაშორისო გამოფენაზე ეროვნულმა სააგენტომ წარადგინდა ერთერთი ახლად აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლი - გრაკლიანის გორა, რომლის შესახებაც საერთაშორისო ასპარეზზე სხვა ქართული ძეგლებისგან განსხვავებით ჯერ კიდევ ნაკლები ინფორმაცია არსებობს.

აღნიშნული გამოფენა ერთერთი ყველაზე მასშტაბური და მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რომელიც ყოველწლიურად იმართება მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაციის მიზნით და ტარდება ისეთ მნიშვნელოვან საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, როგორცაა: UNESCO, UNWTO და ICCROM.

## **მსოფლიო მემკვიდრეობის ძეგლს „მცხეთის ისტორიული ძეგლები“ გაძლიერებული დაცვის სტატუსი მიენიჭა**

მცხეთის ისტორიულ ძეგლებს ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის თანახმად, გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭათ. 8 დეკემბერს, ქ. პარიზში, იუნესკოს ცენტრალურ ოფისში „შეიარაღებული კონფლიქტების დროს კულტურული ფასეულობების დაცვის შესახებ“ ჰააგის კონვენციის მეორე ოქმის კომიტეტის წევრი ქვეყნების მე-11 სხდომა გაიმართა, სადაც განხილულ იქნა საკითხი „მცხეთის ისტორიული ძეგლებისათვის გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭების თაობაზე“. კომიტეტის შეფასებით, საქართველოს მხარის მიერ მომზადებული განაცხადი „მცხეთის ისტორიული ძეგლებისათვის გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭების შესახებ“, აკმაყოფილებს კონვენციითა და მისი მეორე ოქმით გათვალისწინებულ ყველა პირობას, რაც მისთვის გაძლიერებული დაცვის სტატუსის მინიჭების საფუძველი გახდა. დღეისათვის, გაძლიერებული დაცვის სტატუსი მსოფლიოში მხოლოდ 10 ობიექტს აქვს მინიჭებული. ამ სტატუსის მიხედვით, შეიარაღებული კონფლიქტის მონაწილე მხარეები ვალდებული არიან საომარი მოქმედებების დროს უზრუნველყონ იმ კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების დაცვა, რომელთაც მინიჭებული აქვთ გაძლიერებული დაცვის რეჟიმი; თავი შეიკავონ მათზე საომარი შეტევების განხორციელებისა და საომარ ოპერაციებში ამ ობიექტების ან მათი მიმდებარე ტერიტორიის გამოყენებისაგან. საფრანგეთში კომიტეტის სხდომაში საქართველოს სახელით მონაწილეობას იღებენ საქართველოს პრემიერ მინისტრის მრჩეველი ნინო ჭანიშვილი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს იურიდიული სამსახურის უფროსი თეა ონიანი და ამავე სააგენტოს იუნესკოსა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის მთავარი სპეციალისტი სალომე ქორიძე. განაცხადი, მომზადდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს, საგარეო საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და იუსტიციის სამინისტროს უშუალო მონაწილეობით.

## **კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია და კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნა და განვითარება**

2017 წელს დაგეგმილი ქართულ-გერმანული მეგობრობის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის წინმსწრებად, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ, სამხრეთ კავკასიაში გერმანული მემკვიდრეობის დაცვის კავშირთან თანამშრომლობით მიმდინარე წელს გრძელდება საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული მემკვიდრეობის მრავალფეროვანი მემკვიდრეობის, კერძოდ, გერმანული კოლონიების ისტორიული დასახლებების, მათი ურბანული ქსოვილის, საკულტო და საერო, მათ შორის საზოგადოებრივი, ინდუსტრიული თუ საცხოვრებელი არქიტექტურის უნიკალური ნიმუშების ინვენტარიზაციის მეორე ეტაპი. საანგარიშო პერიოდში მომზადდა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული გერმანული კულტურული მემკვიდრეობის ინვენტარიზაცია-კვლევის საველე და სააღრიცხვო დოკუმენტაცია და შესაბამისი რუკებით (სულ 102 ობიექტი) რომელიც მოიცავს თეთრიწყაროს, წალკის, მარნეულის, დმანისის მუნიციპალიტეტებში და ქ.თბილისის დიდუბის არეალში არსებული გერმანული კულტურის არქიტექტურულ ძეგლებს;

საქართველოს საპატრიარქოსთან თანამშრომლობის ფარგლებში დაწყებულ პროექტებზე - "ქალები ქრისტიანული საქართველოს ისტორიაში" და "მოციქულთა სწორი წმინდა ნინო" ფარგლებში, განხორციელდა ფოტოფიქსაცია შემდეგ ძეგლებზე: არმაზი; არმაზციხე-ბაგინეთი; ახატანი; ბოდბე; გარეჯა; ზედაზენი; კალუმნის წმ. გიორგი ; მუხრანი; მცხეთა; ნინოწმინდა; ნიჟისი - აკაკების ნიში; ნიჟისი - სასხორის კვირაცხოველი; სამთავრო; სვეტიცხოველი; სხალტბა; შიომღვიმე; წილკანი; თბილისის სიონში წმ. ნინოს ჯვარის ფოტოფიქსაცია. პროექტის ფარგლებში გროვდება მასალა წიგნის გამოცემისთვის.

- განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაცია/რეინვენტარიზაცია ზესტაფონისა და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში.
- განხორციელდა არქეოლოგიური ობიექტების ინვენტარიზაცია ხარაგაულის, ბორჯომის და ამბროლაურის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე;
- აჭარის ტერიტორიაზე, კერძოდ ციხისძირი, ჩაქვი, მწვანე კონცხი, მახინჯაური – კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებული ობიექტების ინვენტარიზაციის მიზნით შესწავლილ იქნა 36 ობიექტი. ასევე, მცხეთა-მთიანეთის არეალში არსებული ძეგლების და კულტურული მემკვიდრეობის თვალსაზრისით ღირებულ ობიექტთა ადგილზე შესწავლის-ფოტოფიქსაციისა და ინვენტარიზაციის მიზნით აღნუსხულ იქნა 40 უძრავი ძეგლი და 12 არქეოლოგიური ობიექტი.

**პროექტის "საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა ბაზის მართვის სისტემის და გის პორტალის შექმნა და განვითარება"-ს განხორციელებული სამუშაოების და შედეგების შესახებ საჯარო პრეზენტაცია.**

ერთიანი სივრცითი მონაცემთა ბაზა და გის პორტალი დასრულებულია, რაც ინფორმაციის სისტემატიზაციის, მართვისა და გაზიარების კუთხით სრულიად ახალ შესაძლებლობებს ქმნის მომხმარებლისთვის. ამასთან კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მონაცემთა წარმოების უნიფიცირებული სტანდარტის ჩამოყალიბება შესაძლებელს გახდის უწყებებსა და ორგანიზაციებს შორის ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, რაც მეტად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია დარგის მართვის შემდგომი განვითარებისათვის. ამასთან დაკავშირებით მიმდინარე წლის 14 ივლისს გაიმართა საჯარო პრეზენტაცია განხორციელებული სამუშაოების და შედეგების შესახებ, რომელსაც ესწრებოდნენ სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროსთან დაკავშირებული ორგანიზაციების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები, კერძოდ შემდეგი ინსტიტუციებიდან:

- საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო
- იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
- სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
- იკომოს საქართველო
- გ. ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიისა და ძეგლთა დაცვის კვლევის ეროვნული ცენტრი

- საქართველოს საპატრიარქოს საეკლესიო ხელოვნების, ხუროთმოძღვრებისა და რესტავრაციის საბჭო
  - საგარეოს საქმეთა სამინისტროს იუნესკოს ეროვნული კომისია
  - საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს სხვადასხვა სამსახურები
  - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
  - შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტი
  - BP (ბრიტიშ პეტროლიუმი) და სხვა.
- მცირე და საშუალო ისტორიული ქალაქებისთვის ვებგვერდის დიზაინის შემუშავების და გის მონაცემთა ბაზის, გის პორტალის დიზაინის გაუმჯობესების მიზნით. განხორციელდა ისტორიული ქალაქების ვებგვერდის დიზაინის შემუშავება და გის პორტალის დიზაინის შექმნა.
  - სანგარიშო პერიოდში შესრულდა სააგენტოში არსებული მონაცემების "გის" ბაზაში შეყვანა, რედაქტირება, არქივის ბაზასთან დაკავშირება. ერთიან მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებულ იქნა აღმოსავლეთ საქართველოს ტურისტული რესურსების გეოინფორმაციული სისტემა "suntni" -ის მასალებიდან აღმოსავლეთ საქართველოს რელიგიური 132 ძეგლი/ობიექტი.

**რეგიონალურ დონეზე ერთიანი გის მონაცემთა ბაზის პრეზენტირება:**

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს კოორდინაციით ჩატარდა შეხვედრები კახეთის, გურიისა და შიდა ქართლის რეგიონებში, სადაც ადგილობრივი მმართველობის ორგანოების კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით მომუშავე თანამშრომლებს ჩაუტარდათ პრეზენტაცია ერთიანი გის მონაცემთა ბაზის სტრუქტურის გაცნობისა და მისი სამომავლოდ შევსების და გამოყენების კუთხით.

**მუზეუმ-ნაკრძალები და სამუზეუმო ექსპოზიციები**

- მომზადდა ახალი, განახლებული, საინფორმაციო ფლაერი სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებზე ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე. განახლებული ტექსტებითა და ფოტომასალით;
- მიმდინარეობს დიდი მცხეთის არქეოლოგიური სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალის ძვირფასი ლითონების კოლექციის დროებითი გამოფენის მოსამზადებელი სამუშაოები, რომელიც საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიმართება;
- მიმდინარეობს 2016 წლის პროგრამით გათვალისწინებულ შემდეგ პუბლიკაციებზე მასალების მოძიება, კლასიფიკაცია და მოსამზადებელი სამუშაოები: საკონფერენციო კრებული „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა III“, მცხეთის არქეოლოგიური მუზეუმის კოლექციების კატალოგი და ბორჯომისა და ლიკანის საიმპერატორო კოლექციის ალბომი;

**მუზეუმებში/მუზეუმ-ნაკრძალებში გადაუდებელი სარეაბილიტაციო და სამუშაოები და ინფრასტრუქტურის მოწყობა**

- დასრულდა უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის სამუზეუმო შენობის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- დასრულდა გრემის მუზეუმის სამუზეუმო შენობის მცირე სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სამეცნიერო კონფერენცია – „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა III“.

2016 წლის 19-20-21 მაისს ჩატარდა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ ინიცირებული და ორგანიზებული, რიგით III სამეცნიერო კონფერენცია „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“.

მიმდინარეობს 2016 წლის კონფერენციის კრებულის „მუზეუმი და კულტურული მემკვიდრეობა“ გამოსაცემად მომზადება.

### **მუზეუმების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები**

მუზეუმის დღე (18 მაისი) და „ღამე მუზეუმში“ (21 მაისი) სააგენტოს მუზეუმებსა და მუზეუმ-ნაკრძალებში 18 მაისს დაიწყო და 21 მაისს „ღამე მუზეუმში“ აქციით დასრულდა მუზეუმის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები:

ნიკო ფიროსმანაშვილის სახელმწიფო მუზეუმი - მოეწყო პრეზენტაცია ფიროსმანის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ. პატარა სტუმრებისთვის გაიმართა შემეცნებით-გასართობი პროგრამა „იპოვე შენი ფიროსმანი“.

გრემის მუზეუმი - „აბრეშუმის გზა და გრემ-ქალაქი“, „კახეთის მეფეები“ - ეს იყო თემები პრეზენტაციისა, რომელიც საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ჩატარდა. მოეწყო ვიქტორინა-კონკურსი. გაიმართა პოეზიის საღამო.

ქუთაისის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი - ქართველი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის დ. ნაზარიშვილის სახლში, XIX საუკუნის სალონური ცხოვრება გაცოცხლდა.

ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი - ტრადიციული ოდა-სახლის გარემოში XIX საუკუნის გურული ყოფა - გურიის მხარისთვის დამახასიათებელი ჩაცმულობით, გურული კრიმანჭულის ფონზე გაცოცხლდა. ასევე მოეწყო კოლეჯი „ჰორიზონტის“ უნარშეზღუდული მოსწავლეების მიერ გაკეთებული თექისა და მინაქრის ნიმუშების გამოფენა-გაყიდვა. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა ანსამბლმა „ვახტანგურმა“.

სტეფანწმინდის ისტორიული მუზეუმი - მუზეუმის თანამშრომლებისა და სკოლის მოსწავლეების თანამონაწილეობით გაცოცხლდა ხევის ყოფისთვის დამახასიათებელი ყოფა: „ქორწილის“, „კერიაზე შემოტარების“, „ძმად გაფიცვის“, „მეჯვარის მიერ პატარძლის წყაროზე წაყვანისა“. ვიზიტორებისთვის მოეწყო მოხეური სამზარეულო. ღონისძიება მუსიკალურად გააფორმა მოსწავლეთა სახლის ანსამბლმა.

უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალი - გორის თეატრის მსახიობებმა უფლისციხეზე ლეგენდები და თქმულებები თეატრალიზებული ფორმით გაცოცხლეს. მოეწყო კოსტუმირებული პერფორმანსი „ანტიკურ თეატრონში“, ღამის ტური ჩირაღდნებით, გამოიფინა მოქანდაკე ქეთი მელქაძის და თვითნასწავლი მხატვრის რეზო მექვაბიშვილის ნამუშევრები, მუზეუმის ახალგაზრდა მეგობრების მონაწილეობით გაიმართა პოეზიის საღამო, რომელიც მუსიკალურად გააფორმეს ფოლკლორულმა ანსამბლებმა.

პარმენ ზაქარაიას სახ. ნოქალაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალი - ღონისძიების უმნიშვნელოვანესი ნაწილი იყო საბავშვო არქეოლოგიის პრეზენტაცია. საჯარო სკოლების მოსწავლეებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს არქეოლოგიურ გათხრებში. მოხდა სამარხთა პრეპარაცია. მოსწავლეებმა იმსჯელეს მოპოვებული ნივთების დანიშნულებაზე, შეავსეს სავლე დღიურები. დასასრულს გათხრების მონაწილეებს გადაეცათ „ნორჩი არქეოლოგის“ სერთიფიკატი.

ბორჯომის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გორის უნივერსიტეტის სტუდენტებმა და ბორჯომის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს პრეზენტაცია თემებზე: „ავალიშვილები და ბორჯომი“, „ბორჯომის წყლის ისტორია“. მოეწყო დოკუმენტური ფილმების „ლიხს იქით და ლიხს აქეთ“ და „ძველი ბორჯომის გაცოცხლება“ ჩვენება.

დიდი ლიახვის ხეობის სახელმწიფო მუზეუმ-ნაკრძალში შეკრებილ საზოგადოებას ღია ცის ქვეშ, დიდ ეკრანზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ყოფაცხოვრების ამსახველი ფოტო-კადრები წარუდგინეს. მოწვეულ სტუმრებს სამსჯელო თემად შიდა ქართლში თავდაცვითი ნაგებობები ლიახვის ხეობაში არსებული ძეგლების მაგალითზე წარუდგინეს. მუსიკალური სკოლის მოსწავლეებმა და მუზეუმ-ნაკრძალთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ვერხეები“ საღამო მუსიკალურად გააფორმეს.

## კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია

### გამოცემები

- მომზადდა და გამოიცა საანგარიშო კრებული - „კულტურული მემკვიდრეობა 2014-2015“;
- მომზადდა და გამოიცა ჟურნალის - „ძველი ხელოვნება დღეს“ მე-7 ნომერი;
- მომზადდა გამოსაცემად ალბომი - „ჯავახეთი“;
- ქართულ გამოცემად მომზადდა მარი-კლოდ ბერდუკუს რედაქტორობით გამოცემული ნაშრომი „კონსერვაცია არქეოლოგიაში (არქეოლოგიური ნიმუშების კონსერვაციისა და რესტავრაციის მეთოდები და პრაქტიკული გამოცდილება)“;
- მომზადდა და გამოიცა წიგნი - „ირაკლი ციციშვილი“;
- გამოიცა წიგნი - „პეიზაჟი ქართულ მხატვრობაში“;
- მომზადდა გამოსაცემად წიგნი - „აჭარის არქეოლოგიური ძეგლები“;
- გამოიცა წიგნი - „ღალია“;
- გამოიცა წიგნი - „ქართული წიგნის ხელოვნება. ილუსტრაცია“;
- მომზადდა გამოსაცემად წიგნი - „ჭავჭავაძეები – კულტურა და ღირებულებები“;

### საგანმანათლებლო პროგრამები:

- ნოქლაქევის არქიტექტურულ-არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრძალში გაიხსნა საგანმანათლებლო პროგრამა „საბავშვო არქეოლოგია“;
- გაგრძელდა 2015 წელს დაწყებული პროექტი - „კახეთის მხარის მოსწავლეები – კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“. პროექტის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა ყვარლის, ლაგოდეხის, ახმეტის და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების, პანკისის ხეობის საჯარო სკოლებში; 31 მარტს თელავში გაიმართა პრეზენტაცია პროგრამისა „კახეთის მხარის მოსწავლეები - კულტურული მემკვიდრეობის დესპანები“.
- 20-21 აგვისტოს, ნიქოზში ჩატარდა მორიგი მეცადინეობები ალექსანდრე ოქროპირიძის სახელობის ხელოვნების სკოლაში და 1 სექტემბერს გაიხსნა ბავშვების ნამუშევრების გამოფენა ანიმაციური ფილმების ფესტივალის ფარგლებში.
- **აუდიო-გიდი** - უფლისციხის ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმ-ნაკრძალის აუდიო-გიდისათვის (მანიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსების ადგილები); შემუშავდა ტექსტი აუდიო-გიდისათვის, რომელიც ითარგმნა ინგლისურ და რუსულ ენებზე და ჩაიწერა შესაბამის აპარატურაზე.

**კულტურულ მემკვიდრეობაზე მონიტორინგი, მედიამონიტორინგი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებები და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებები ქვეყნის ფარგლებს გარეთ:**

2015 წლის დეკემბერში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით საქართველოში ჩატარებული კვიპროსზე წლების განმავლობაში მიმდინარე არქეოლოგიური გათხრების შედეგად აღმოჩენილი მასალის რეტროსპექტიული გამოფენის კვიპროსის ნიქოზიის მუზეუმში დასაბრუნებლად, 2016 წლის იანვარში ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა სამუზეუმო ექსპონატების გადაადგილებისათვის დადგენილი სპეციალური საერთაშორისო რეჟიმების შესაბამისი კომპლექსური

ლონისძიებები. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში ასევე განხორციელდა კვიპროსის რესპუბლიკაში ქართული ისტორიული კერების გამოსავლენად სამომავლოდ განსაზღვრული ქმედებების კვიპროსის სიძველეთა დეპარტამენტთან შეჯერება.

2016 წლის 2-3 მარტს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ოფიციალური ვიზიტი თურქეთის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივების განსახილველად. სამუშაო ვიზიტის ფარგლებში განხილული თემებიდან ერთერთ პრიორიტულ მიმართულებას წარმოადგენდა კულტურული მემკვიდრეობის საკითხები. სამუშაო ვიზიტის შედეგად, შემუშავდა ორ ქვეყანას შორის კულტურის სფეროში თანამშრომლობის ხელშეკრულება, მათ შორის კულტურული მემკვიდრეობის მიმართულებით, სადაც განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებები და თანამშრომლობის ფორმატი. აღნიშნულ მისიაზე მიღწეული შეთანხმების შედეგად ეროვნულმა სააგენტომ თურქულ მხარეს მიაწოდა ახალციხის წყვილი აბანოს თურქულად ნათარგმნი პროექტი, რის სანაცვლოდაც ელოდება ოშკის სარეაბილიტაციო პროექტის პაკეტს გასაცნობად.

2016 წლის 15-17 მარტს საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის ფარგლებში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ განახორციელა ოფიციალური ვიზიტი ბაქოში, აზერბაიჯანის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში. ვიზიტის ფარგლებში, განხილულ იქნა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის პერსპექტივები, შედეგად, აღნიშნულ ეტაპზე მზადდება თანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელიც განსაზღვავს მხარეების ვალდებულებებსა და თანამშრომლობის ფორმატს.

2016 წლის 4-7 აპრილს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებული თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელდა სომხური დელეგაციის სამუშაო ვიზიტი, რომელიც ეხებოდა ჩვენი საერთო მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს და ამ მიმართულებით თანამშრომლობის შემდგომი პერსპექტივების დასახვას. მხარეებმა გაცვალეს ინფორმაცია მათ ტერიტორიებზე არსებული ძეგლების მდგომარეობისა და მიმდინარე სამუშაოების პროცესების შესახებ.

ავსტრიის რესპუბლიკის ფედერალურ კანცელარიასა და საქარველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს შორის კულტურასა და ხელოვნების სფეროში თანამშრომლობის შესახებ გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე, 2016 წლის 8-12 მაისს, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლის მიერ განხორციელდა სამუშაო მისია ქ. ავსტრიის რესპუბლიკაში. აღნიშნული ვიზიტის მიზანი იყო კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაღრმავება და დარგობრივ ინსტიტუციებს შორის პირდაპირი პარტნიორული ურთიერთობების დაფუძნება.

მიმდინარე წელს განახორციელა სამუშაო შეხვედრები შემდეგ რეგიონებში: გურია, შიდა ქართლი და კახეთის რეგიონში, აღნიშნული შეხვედრები მიზნად ისახავს მუნიციპალიტეტებში არსებულ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა მოვლა-პატრონობასა და პოპულარიზაციაში ერთობლივ მონაწილეობას. ასევე, აღნიშნულ შეხვედრებზე მოეწყო პრეზენტაციები. სააგენტოს საინფორმაციო სისტემების სამსახურის მიერ შექმნილ გის პორტალთან და მის გამოყენებასთან დაკავშირებით.

**კულტურულ მემკვიდრეობაზე მედია მონიტორინგის პროგრამა** - კულტურის სფეროში ქვეყნის მასშტაბით მიმდინარე პროცესების მონიტორინგის, ანალიზისა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში განხორციელებულ პროექტებზე საზოგადოებრივი აზრის კვლევის მიზნით, მიმდინარეობს მედია-მონიტორინგი, რის ტექნიკურ შესაძლებლობასაც იძლევა საზოგადოებრივი აზრისა და კვლევის მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM) სპეციალური პროგრამა.

2016 წელს სააგენტომ მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურისათვის შეიძინა კვადროკოპტერი, რომლის მეშვეობითაც განხორციელდა სქურის, კუმურდოს და აწყურის ციხის ვიდეო რგოლების მომზადება, იგეგმება ასევე სხვა ძეგლებისათვის ამავე ფორმატის ვიდეო რგოლების მომზადება.

„საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოსა და ნორვეგიის კულტურული მემკვიდრეობის დირექტორატს შორის „კულტურული მემკვიდრეობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ საგრანტო დაფინანსების ფარგლებში (139,4 ათასი ლარი) განხორციელდა პროექტის „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის და გის პორტალის შექმნა“ განვითარება. პროექტის ფარგლებში შედგენილ იქნა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის მონაცემთა მართვის ეროვნული გეოინფორმაციული მონაცემთა ბაზის მეთოდურ-ტექნიკური სახელმძღვანელოები.

### **დაგეგმილი შუალედური შედეგები<sup>27</sup>**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;

ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა;

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი დებულებების განხორციელება, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული მართვის პროექტების შემუშავება; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;

მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით;

კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნა; სპეციალისტთა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

### **მიღწეული შუალედური შედეგები<sup>28</sup>**

კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა/კომპლექსთა კონსერვაცია-რესტავრაცია და მომავალი თაობებისათვის შენარჩუნება; ისტორიულ-კულტურული ღირებულების მქონე მასშტაბური ძეგლების რეაბილიტაცია, რომელთა შორისაა მსოფლიო მემკვიდრეობისა და ეროვნული მნიშვნელობის ძეგლები;

ძეგლთა დეტალური სააღრიცხვო, კვლევითი, სხვადასხვა ტიპის დაზიანებათა სადიაგნოსტიკო დოკუმენტაციის შექმნა; კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების, ობიექტებისა და ძეგლების სისტემატიზაცია, საერთაშორისო სამეცნიერო მიმოქცევაში ჩართვა;

საერთაშორისო ექსპერტების რეკომენდაციების საფუძველზე შესაბამისი დებულებების განხორციელება, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული მართვის პროექტების შემუშავება; ინფორმაციის შენახვის, განახლებისა და გავრცელების თანამედროვე სტანდარტების დანერგვა;

მუზეუმების საგამოფენო-საექსპოზიციო საქმიანობის გააქტიურება კულტურულ-საგანმანათლებლო ფუნქციების განვითარებითა და გაძლიერებით;

<sup>27</sup> ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილი შუალედური შედეგები შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ მოსალოდნელ შუალედურ შედეგს.

<sup>28</sup> იცხება დაგეგმილი შუალედური შედეგების ფაქტობრივი შესრულება საანგარიშო პერიოდისთვის.

კულტურული ტურიზმის განვითარება და ტურიზმისათვის მიზიდველი გარემოს შექმნა; სპეციალისტთა და საზოგადოების ფართო წრეების ჩართვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში.

#### დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი<sup>29</sup>

1. **საბაზისო მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 70-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 50-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
2. **საბაზისო მაჩვენებელი** - გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 35-მდე;

**მიზნობრივი მაჩვენებელი** - გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 50-მდე;

3. **საბაზისო მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით წლის ბოლომდე 153 000 მდე გაიზრდება  
**მიზნობრივი მაჩვენებელი** - ვიზიტორთა რაოდენობა დაახლოებით 230 000 მდე გაიზრდება.

#### მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი<sup>30</sup>

1. კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული 90-მდე სარეაბილიტაციო პროექტი და რესტავრირებული ძეგლი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ;
2. გამოვლენილი და აღკვეთილი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე უნებართვო სამუშაოები 35-მდე;
3. ვიზიტორთა რაოდენობა 366 300 მდე.

#### ცდომილების მაჩვენებელი (%/აღწერა) და განმარტება დაგეგმილ და მიღწეულ საბოლოო შედეგებს შორის არსებულ განსხვავებებზე<sup>31</sup>

კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშებზე მომზადებული სარეაბილიტაციო პროექტების ზრდა, რაც განპირობებული იყო ძეგლების მდგომარეობიდან გამომდინარე გაუთვალისწინებელი გარემოებების წარმოქმნით; კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე გამოვლენილი და აღკვეთილი უნებართვო სამუშაოების მაჩვენებელი არ გაზრდილა და შენარჩუნებულია წინა წლების მაჩვენებლების დონეზე.

#### ფინანსური (ეკონომიკური) სამსახურის უფროსი

<sup>29</sup>დაგეგმილი შუალედური შედეგის ინდიკატორი შეესაბამება წლიური ბიუჯეტის კანონის პროგრამული ბიუჯეტის დანართში შესაბამისი ქვეპროგრამის ფარგლებში განსაზღვრულ შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორებს (მათ შორის, საბაზისო და მიზნობრივი მაჩვენებლები)

<sup>30</sup>ივსება საანგარიშო პერიოდისთვის მიღწეული შუალედური შედეგის შეფასების ფაქტობრივი შესრულების მაჩვენებელი;

<sup>31</sup>ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში.

